საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბეჭდვის გატანა ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 7 სექტემბერი. 2016 წ. №166 (8058), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

პროქართული დიპლომატის თედო ჯაფარიძის პასუხი თავდაყირა მოაზროვნე პოლიტიკოსებს...

4

ნატო საკუთარ თავს მტრობს, როცა გაწევრიანების იმედს აძლევს ქვეყნებს, რომელთაც ამის შანსი არა აქვთ

8

ამასაც მოვესწარით!

ნოემბრიდან საქართველოში „საჰაერო ტაქსები“ შემოვა

12

◉ როდემდე! როდემდე! როდემდე!..

სიტყვითმკვლელი ნიკა გვარამია უზენაეს სასამართლოსაც აშანტაჟებს!

„რუსთავი-2“-ის გენერალური დირექტორის ნიკა გვარამიას განცხადებით, „რუსთავი-2“-ის საქმეზე მთავარი არგუმენტი არის არა მხოლოდ ქიბარ ხალვაშსა და ირაკლი ოქრუაშვილს შორის გაფორმებული დოკუმენტი, არამედ ის ფაქტი, რომ „რუსთავი-2“-ის რეალური მფლობელები არიან მართლები, როგორც სამართლებრივი, ასევე მორალური თვალსაზრისით.

გვარამიას თქმით, ქონება იქნა კანონიერად შეძენილი და ამჟამინდელ მფლობელებს ინფორმაცია არ ჰქონდათ იმ პერიპეტიებზე, რომელიც მიმდინარეობდა წინა წლებში და ნასყიდობის ხელშეკრულებაც არის კანონიერი. გვარამიას განცხადებით, იურიდიულად ამ ხელშეკრულების ბათილობა ვერ დადგება სასამართლო ინსტანციაში. შესაბამისად, მისი თქმით, ორივე ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილება არის უკანონო.

ნიკა გვარამია, უზენაეს სასამართლოს მიმართავს და მოუწოდებს, დროულად გამოაქვეყნოს გადაწყვეტილება და ნუ ამყოფებს ტერორში ტელეკომპანიის თანამშრომლებსა და მაყურებელს.

* * *

ტელემაყურებელმა მართლაც კარგად იცის, რომ 15 წელიწადზე მეტია ნაციონალების ჯიბის ტელევიზია სიცრუის ტერორში ამყოფებს მთელ ქართველ საზოგადოებას, სახალხოდ ზემოქმედებს (ზეწოლას ახდენს) სასამართლოზე და არად დაგიდევს ჟურნალისტური ეთიკის ნორმებს... ახლაც ყოვლად უღირსი გზებით ცდილობს მიზნის მიღწევას და ქვეყნის უზენაეს სასამართლოსაც კი „მოუწოდებს ტერორში ნუ გვამყოფებთო!

მორალური და სამართლებრივი ნონსენსი ამის იქით ვერ წავა! „რუსთავი-2“ რჩება ანტისახელმწიფოებრივ, ანტიეროვნულ, ანტიჟურნალისტურ პანდორას ყუთად!

როდემდე! როდემდე! როდემდე!..

◉ ყოფილი ნაცი არ არსებობს...

ოქრუაშვილი შავ ლაქას ვერ ჩამოირეცხავს!



ცნობილი ანდაზა გვმოძღვრავს — არ გათეთრდების ყორანი, რაც უნდა ხეხო ქვიშითა — სწორედ ოქრუაშვილზეა ზედგამოჭრილი. მან ისეთი სისაძაგლეები ჩაიდინა, რომ არავითარი წამლები და შელოცვები არ უშველის მის პერსონაზე შავი ლაქების ჩამორეცხვას.

რასაკვირველია, მის მინისტრობანას თამაშს არ შევეხები, ვინაიდან იგი ყოველგვარ კრიტიკაზე დაბლა დგას. სულაც არ არის გასაკვირი სააკაშვილის რეჟიმისდროინდელი „მინისტრები“ მათი შეფის მსგავსნი რომ არიან, ამიტომ შევეხები ოქრუაშვილის იმ გამოხდომებს, რამაც თავი „მოჭრა“ უპირველესად იმის გვარს, საკუთარ კუთხეს და სამშობლოს არ გადავაჭარბებ თუ ვიტყვი — საერთოდ, ადამიანის მოდგმას.

— ერთ-ერთი სასწავლო განგაშის დროს ჯარისკაცებს დედას აგინებდა. ეს ფაქტი ათასობით ადამიანმა ტელევიზიით იხილა. არადა, თავდაცვის მინისტრი ჯარისკაცისთვის ყველანაირად წმინდა პიროვნება უნდა იყოს; ჯარისკაცი მინისტრს უნდა აღიქვამდეს განსაკუთრებულ ადამიანად. და ამ დროს, როდესაც ხედავს მინისტრი „მეწაღესავით“ იგინება, წარმოვიდგინოთ ასეთ მინისტრზე როგორ შეეცვლება შეხედულება.

გაუგონარი და ყოველგვარ მორალს მოკლებული იყო ოქრუაშვილის საჯარო განცხადება: რუსეთში ფეკალური მასებიც კარგად გასაღდებაო. ღვინის ხარისხიანობის მიმართებაში თქვა მან ეს გაუგონარი სისულელე.

ოქრუაშვილმა ამ იდიოტური გამონათქვამის შემდეგ ქართველი ერი არა მარტო რუსეთის წინაშე ჩააყენა უხერხულ მდგომარეობაში, არამედ მსოფლიოს წინაშეც. საქართველოს მძიმე სიტუაციიდან გამოსასვლელად ოქრუაშვილი შეურაცხადად უნდა გამოეცხადებინათ და რამდენიმე წლით საგიჟეთში მოეთავსებინათ, თუნდაც განტევების ვაცის მოტივით. პოსტიდანაც არ გადააყენეს, საყვედურიც კი არ უთხრეს. თუმცა რა გასაკვირია, მარგველაშვილმა სიტყვა გატეხა, ვინც პრეზიდენტად დასვა, იმას უღალატა და ყოველნაირად ხელს უწყობს სააკისტებისა და მათი სატელიტების მოსვლას ხელისუფლებაში. და ვითომც არაფერი მომხდარაო, შუბლზე ერთი ძარღვიც არ შეტოკებია, ჰგონია, ხალხი ვერაფერს ხვდება და დადის ქალაქ-ქალაქ, სოფელ-სოფელ, რათა სააკაშვილს ჩახერგილი გზა გაუსუფთაოს.

ოქრუაშვილის პერსონის სრული გამომჟღავნება მოხდა მერაბიშვილის მიერ დაწერილი „შპარგალკის“ კითხვის დროს. წარმოიდგინეთ, ამ სიგრძე თავდაცვის მინისტრი ოროსანი ბავშვივით გამოდის ტელევიზიით და ცალი თვალით ხსენებულ „შპარგალკას“ კითხულობს ლუღლუღით, ტირილნარევი ხმით — ყველაფერში დამნაშავე ვარ, აწი არ გავიმეორებ, საერთოდ გადავიკარგები საქართველოდან, ოღონდაც სიცოცხლე შემინარჩუნეთ. კიდევ კარგი საზღვარგარეთ ქართული არ იციან, თორემ მსოფლიო მასშტაბით მოგვეჭრებოდა თავი. აქ მან მარტო ქართველი ერი კი არ შეარცხვინა, არამედ, საერთოდ, ადამიანთა მოდგმა. ვერავინ წარმოიდგენდა კაცი თუ აქამდე დაეცემოდა.

დიდი ცოდვა ადევს კისერზე მერაბიშვილს, იცოდა რა ოქრუაშვილის სუსტი მხარეები, უფრო სწორად რომ ვთქვათ, მისი არაადამიანობა, ჩაადენინა ჯერ არნახული, არგაგონილი საქციელი. ოქრუაშვილის ეს უპრეცედენტო მოქმედება კვლავ მძაფრი კრიტიკის გარეშე გაატარა ქართველმა ხალხმა.

უამრავი მაგალითები გვაქვს იმისა, რომ გენერალი დამარცხების შემდეგ თავს იკლავს, ან რაიმე გადაცდომის შემთხვევაში თანამდებობის პირი ნებაყოფლობით ტოვებს პოსტს და მოსანანიებლად მიმართავს ეკლესიას. არა მგონია, ოქრუაშვილს თანამოსაქმეები სასიკვდილოდ გაიმეტებდნენ, დიდი-დიდი მიუსჯიდნენ ხუთ წელიწადს და ციხიდან გამოვიდოდა კაცი და არა, როგორც ამჟამად მოგვევლინა, შერცხვენილი არსება.

— ამჟამად მოფერიანებული, საგულეში ჩამდგარი გულით, მურტალოს სიფათით მოგვევლინა დეპუტატობის კანდიდატად. სხვას აკრიტიკებს — „ოცნების“ კანდიდატები ორ სიტყვას ვერ გადააბამენო. მეტად გასაკვირია, ვინ ამბობს ამას — ციცერონი, სულმნათი ეროსი მანჯგალაძის ხმის ტემბრის მქონე ადამიანი თუ მერაბიშვილის „შპარგალკის“ ლუღლუღითა და მტირალა ხმით წამკითხავი ოქრუაშვილი? მის ლაპარაკს ტუჩების მოძრაობით თუ გაიგებთ... შეიძლება მკითხველმა მისაყვედუროს — ადამიანის დამცირება ასე არ შეიძლებაო. მე, უბრალოდ, შევახსენე მკითხველს ოქრუაშვილის მიერ ჩადენილი დანაშაული. ერთი სიტყვაც არ დამიმატებია. მეორეც, დეპუტატი ხალხის რჩეული უნდა იყოს და არა მტირალა ნამინისტრალი...

გორი, — ეს ქართველ ინტელიგენტთა მჭედელი ქალაქი იმას არ დაუშვებს, რომ ოქრუაშვილს — ქართველი ერის შემარცხვენელ ინდივიდს პარლამენტისკენ გზა გაუკვალოს.

ონისე მწარიაშვილი

გიორგი კვირიკაშვილი: ჩვენ ვიმსახურებთ უვიზო მიმოსვლას!

საქართველოს მოქალაქეთათვის უვიზო მიმოსვლას ჩვენ ვუყურებთ, როგორც ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების კიდევ ერთ კონკრეტულ შედეგს, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა საერთაშორისო კონფერენციაზე – **„ევროპის ცვალებადი გეოსტრატეგიული ლანდშაფტი ვარშავის სამიტის შემდეგ“,** –განაცხადა.

კონფერენციის ფარგლებში გამართულ სადისკუსიო სესიას „მაკკეინის ინსტიტუტის“ დირექტორი დევიდ კრამერი უძღვებოდა. ამერიკელი ანალიტიკოსი დაინტერესდა, თუ როგორ აფასებს საქართველოს მთავრობის მეთაური ევროკავშირთან ვიზალიბერალიზაციის პროცესში მიღწეულ პროგრესს.

გიორგი კვირიკაშვილი მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია საქართველოს მოქალაქეებისთვის უვიზო რეჟიმის ამოქმედება საპარლამენტო არჩევნებამდე მოხდეს, რაც მისი თქმით, გააძლიერებს პროდასავლურ სულისკვეთებას მოსახლეობაში და ევროპის მოწინააღმდეგე ძალებს არ მისცემს რიტორიკის წარმართვის შესაძლებლობას.

მთავრობის მეთაურმა ვრცლად ისაუბრა საქართველოსა და მთლიანად რეგიონის წინაშე არსებულ გამოწვევებზე. მისი თქმით, საქართველო არის ქვეყანა, რომელიც დაინტერესებულია რეგიონის სტაბილური და დემოკრატიული განვითარებით. გიორგი კვირიკაშვილმა ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ ვითარებას გაუსვა ხაზი და აღნიშნა, რომ რუსეთი დიდ გავლენას ახდენს ოკუპირებული აფხაზეთის და ე.წ.სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო მთავრობებზე.

პრემიერ-მინისტრის თქმით, აუცილებელია რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზება და გრძელვადიანი გამოსავლის ძიება, რაც სრულიად გამორიცხავს კომპრომისს სტრატეგიულ საკითხებთან დაკავშირებით, როდესაც საქმე ეხება ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს. საქართველოს მთავრობის მეთაურმა ისაუბრა მომავალი 4 წლის სამოქმედო გეგმაზე. მისი თქმით, სამთავრობო რეფორმების გეგმა ითვალისწინებს ქვეყნის სწრაფ განვითარებას ისეთი მნიშვნელოვანი მიმართულებებით, როგორიცაა: ეკონომიკური რეფორმები, განათლების სისტემის რეფორმირება, მმართველობის ფუნდამენტური ცვლილება, ინფრასტრუქტურული პროექტების დაჩქარება.

გიორგი მარგველაშვილი: საქართველო დასავლური არჩევანის გამო მკაცრად დაისჯა!

დღეს ჩვენი ქვეყანა რეგიონული სტაბილურობის შესახებ დისკუსიების მნიშვნელოვანი ნაწილია, – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა თბილისში, სასტუმრო „რუმსში“ მიმდინარე საერთაშორისო კონფერენციაზე სახელწოდებით – ევროპის ცვალებადი გეოსტრატეგიული ლანდშაფტი ვარშავის სამიტის შემდეგ.

„ბოლო 25 წლის განმავლობაში ჩვენ ბევრი მიღწევა დაგვიგროვდა. თუმცა, ამჟამად ნატოსთვის და ზოგადად, რთული პერიოდია. ვარშავის სამიტზე დავინახეთ, რომ ნატოს როგორც ალიანსს, ლიდერის პოზიცია უკავია თავდაცვის კუთხით, თუმცა ის გამოწვევების წინაშე დგას.

მოკავშირეებმა და პარტნიორებმა პატივი უნდა სცენ ერთმანეთის არჩევანს. საქართველო დასავლური არჩევანის გამო უკვე დაისაჯა, რაც სამწუხაროა ყველასთვის. მსგავს საკითხებზე დიალოგმა კი უნდა მიგვიყვანოს პასუხამდე, თუ როგორ შექმნას ნატომ უსაფრთხოება მსოფლიოში,“ – განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

პრემიერმა ასე უნდა თქვას?!

1. ზოგჯერ საზოგადოებრივი მაუწყებელი უფრო კრიტიკულია მთავრობისადმი, ვიდრე „რუსთავი-2“

საქართველოს პრემიერ-მინისტრი „რუსთავი-2“-ის საქმეზე საუბრობს და აცხადებს, რომ მთავრობა არ ერევა მედიის სარედაქციო პოლიტიკაში და მისი აზრით, ზოგჯერ საზოგადოებრივი მაუწყებელი უფრო კრიტიკულია მთავრობისადმი, ვიდრე „რუსთავი-2“.

„ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია თავისუფალი მედიასივრცე იქნას უზრუნველყოფილი. ყველას შეუძლია შეამჩნიოს განსხვავება მედიაგარემოში, რაც იყო წლების წინ და ახლა. გასულ წელს ჩვენ გადავედით ციფრულ მაუწყებლობაზე და დღეს 10 დღეც არ სჭირდება ახალი არხის გახსნას. „რუსთავი-2“-ის საქმეს რაც შეეხება, მას გააჩნია ორი განზომილება. პირველი – მფლობელობის და ჩვენ ვერ ჩავერევით სასამართლოს საქმიანობაში და მეორე განზომილება არის მედიის თავისუფლება. მე ძალიან ბევრი მხარდამჭერი განცხადება გავაკეთე ამ არხის მიმართ, მათ შორის საგარეო საქმეთა მინისტრად ყოფნის დროს. შევთავაზეთ ასევე მედიასაბჭოს შექმნა, მაგრამ ჩვენ არ გვაქვს მიზანი, რომ ჩავერიოთ სარედაქციო პოლიტიკაში. თუ ვინმეს აინტერესებს „რუსთავი-2“-ის შენარჩუნება ისე როგორც ის არის დღეს, ეს არის პირველ რიგში მთავრობა“, – განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

2. პრორუსულ ძალებს არც იმხელა მხარდაჭერა აქვთ, რომ გავლენა მოახდინონ საზოგადოების განვითარებაზე

პრემიერ-მინისტრის აზრით, პრორუსული პოლიტიკური ისტებლიშმენტის ძალის შესახებ საქართველოში ინფორმაცია გაზვიადებულია. კვირიკაშვილი თვლის, რომ პრორუსულ ძალებს არც იმხელა მხარდაჭერა აქვთ, რომ გავლენა მოახდინონ საზოგადოების განვითარებაზე.

„პრორუსული პოლიტიკური ისტებლიშმენტის ძალაუფლება და ძალა საქართველოში გადაჭარბებულია. არ მგონია, რომ პრორუსული განწყობები საკმარისად მატერიალიზებულია იმისთვის, რომ სერიოზული ზეგავლენა მოახდინონ საქართველოს განვითარების ტენდენციებზე. მაგრამ ჩვენ არ უნდა უკუვაგდოთ რუსული პროპაგანდის ფაქტორი და კომუნიკაციების კომპანიაში გავითვალისწინოთ ეს, მაგრამ ასევე არ უნდა გავაზვიადოთ ის პოტენციალი, რაც დაკავშირებულია პრორუსულ ძალებთან“...

დემურ სტურუას დედის ცემაში ბრალდებულს პატიმრობა შეეფარდა

მთავარი პროკურატურა სამტრედიაში გარდაცვლილი დემურ სტურუას დედის ცემაში ბრალდებულ დავით ნაცვლიშვილისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების საკითხზე განცხადებას ავრცელებს.

„ქუთაისის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა პროკურატურის შუამდგომლობა და ცემისა და მოწმეზე ზემოქმედების განხორციელების ფაქტზე ბრალდებულ დავით ნაცვლიშვილს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

გამოძიებით დადგინდა, რომ 2016 წლის 3 სექტემბერს, დაახლოებით 03:00 საათზე, გარდაცვლილ დემურ სტურუას დედასთან ნონა ჯოჯუასთან, მისსავე საცხოვრებელ სახლში ნასვამ მდგომარეობაში მყოფი დავით ნაცვლიშვილი მივიდა და დემურ სტურუას თვითმკვლელობამდე მიყვანის საქმეზე ჩვენების შეცვლის მიზნით მასზე განახორციელა იძულება ფიზიკური ძალადობით. დავით ნაცვლიშვილმა ასევე ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა ნონა ჯოჯუას შვილს – დავით სტურუას.

დავით ნაცვლიშვილს პროკურატურამ ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლის პირველი ნაწილით (ცემა) და 372-ე მუხლის მე-3 ნაწილით (მოწმეზე ზემოქმედების განხორციელება) წარუდგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად ხუთიდან რვა წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. საქმეზე გრძელდება გამოძიება“, – ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

თბილისს მალე ახალი პოლონური ავტობუსები ეყოლება

თბილისის მერი დავით ნარმანია მოადგილესთან, ირაკლი ლექვინაძესთან და შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ გენერალურ დირექტორთან ნუგზარ ჭეიშვილთან ერთად, პოლონეთის ქალაქ პოზნანში “MAN Truck & Bus AG”-ის ქარხანაში იმყოფებოდა. თბილისის მერი პირადად გაეცნო იმ ახალი ავტობუსების აწყობის პროცესს, რომლებიც სულ მალე თბილისში ივლიან.

პოლონეთის ერთ-ერთ უძველეს და უდიდეს ქალაქ პოზნანში **MAN Truck & Bus AG**-ის ქარხანა 150.000 m^2 ფართობზეა განთავსებული და 1998 წელს დაფუძნებულ საწარმოში, ძირითადად, CNG-ი საწვავზე მომუშავე ძრავებით აღჭურვილი საქალაქო ავტობუსები ეწყობა.

CNG-ი საწვავზე მომუშავე ავტობუსების ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი არის ის, რომ დიზელთან შედარებით უფრო მცირე რაოდენობის მავნე გამონაბოლქვს გამოყოფს. შემცირებულია გამონაბოლქვში ნახშირბადის მოცულობა, არ გააჩნია შავი კვამლი და უსიამოვნო სუნი.

თბილისის მუნიციპალური ავტოპარკის განახლების პირველ ეტაპზე სექტემბრის ბოლოდან 10 ახალი ავტობუსი შემოვა, რომლებიც ბაგებიდან კოლმეურნეობის მოედნის მიმართულებით მოძრავ №61 ავტობუსის ხაზზე დაინიშნება, აქამდე აღნიშნულ მარშრუტზე მოძრავი ავტობუსები კი სხვა ხაზებზე გადანაწილდება, რაც ქალაქში მუნიციპალური ტრანსპორტის გადაადგილებებს შორის ინტერვალს შეამცირებს და მგზავრობას უფრო კომფორტულს გახდის.

ამასთან, მძღოლებს, რომლებიც “Man”-ის ავტობუსებზე დასაქმდებიან, MAN Truck & Bus AG-ის სპეციალისტები გადაამზადებენ. უკვე ცნობილია, რომ ერთ-ერთი ახალი ავტობუსის მძღოლი ქალბატონი იქნება.

მგლის ხროვამ ცხვრის ფარა გაანადგურა

გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კარდენახში მგლების ხროვამ ცხვრის ფარა გაანადგურა. განადგურებულია 60-ზე მეტი სული.

დაზარალებული გაიოზ ჩალათაშვილი დახმარებას და ზარალის ანაზღაურებას ადგილობრივ ხელისუფლებას სთხოვს.

„საძოვარზე მყავდა ცხვარი. უცბად, სამი მგელი შემოვარდა შიგ ფარაში და გამინადგურა საქონელი. რაღაც დახმარება გამიწიეთ, 10 ათასზე მეტი ზარალი ვნახე. თან მაკედ იყვნენ, ორ თვეში უნდა მოეგოთ. რა გავაკეთო, აღარ ვიცი, რა ვქნა“, – ამბობს დაზარალებული.

თავის მხრივ, როგორც გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის გეგმისა და სტატისტიკის სპეციალისტი ჯემალ შალაშვილი განმარტავს, ადგილობრივ ბიუჯეტში მსგავსი შემთხვევებისთვის თანხა გათვალისწინებული არ არის. აქედან გამომდინარე, გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობას, პრაქტიკულად, არ შეუძლია აღნიშნული ზარალის ანაზღაურება...

◎ აფხაზეთს დენი არ მოაკლდებათ...

„ენგურჰესი“ 2018 წელს რეაბილიტაციისთვის 4 თვით გაჩერდება...

ელექტროენერგიის დეფიციტი არ იქნება!



საქართველოს ყველაზე დიდი ჰიდროელექტროსადგური „ენგურჰესი“ გეგმური სარემონტო სამუშაოების განხორციელების მიზნით 2017 წელს სამი კვირით, 2018 წელს კი რამდენიმე თვით ელექტროენერგიის გამომუშავებას შეწყვეტს. „ენგურჰესი“ საქართველოს ენერგომომარაგების დიდ ნაწილს შეადგენს. აფხაზეთის რეგიონი კი მთლიანად ენგურჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიით მარაგდება.

როგორ აპირებს მთავრობა ამ პერიოდში ელექტროენერგიის დეფიციტის შევსებას და რა თანხა დაიხარჯება „ენგურჰესის“ რეაბილიტაციაზე ამ საკითხებზე ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე მარიკა ვალიშვილი გვესაუბრა.

— როდის უნდა დაიწყოს სარემონტო სამუშაოები „ენრგუჰესზე“ და ვინ განახორციელებს რეაბილიტაციას?

— სამუშაოები ძირითადად იგეგმება გვირაბზე. როგორც წესი 5 წელიწადში ერთხელ საჭიროა დათვალიერება-რემონტი. ბოლო რემონტი „ენგურჰესის“ გვირაბზე ჩავატარეთ 2006 წელს. მაშინაც დაახლოებით 2 თვის განმავლობაში გვქონდა გაჩერებული და იქ სამუშოები ჩატარდა . ეს იყო დიდი რეაბილიტაციის ფარგლებში აგრეგატების, კაშხლის და გვირაბის რემონტი. გავიდა 10 წელზე მეტი და აუცილებელია რეაბილიტაცია. ფილტრაციების პრობლემაა, უნდა დავათვალიეროთ, ვნახოთ, რა ტიპის სამუშაოებია ჩასატარებლი, რომ მერე თანხის მობილიზაცია მოხდეს, შეირჩეს კონტრაქტორი, შევადგინოთ პროექტი სამუშაოების წარმოებასთნ დაკავშირებით. 2017- ში ვგეგმავთ რომ 3-4 კვირით გავაჩეროთ ჰესი, უცხოელი ინჟინრები ჩამოვიყვანოთ, გვირაბის დეტალური დათავლიერება მოხდეს, რომ მერე ვიცოდეთ, რა მასშტაბის სამუშაოებზე იქნება საუბარი და რა პერიოდზე. 2018 წელს კი შესაძლებელი იქნება სამუშაოების დაწყება, თანხები მოსაძიებელი იქნება, გააჩნია იქ რა დაგვხდება, როცა ჯგუფს შევუშვებთ.

— დაახლოებით რა თანხაზე შეიძლება იყოს საუბარი?

— ჩვენ კაპიტალურ რემონტს, რაც სრულყოფილებისთვის არის საჭირო, ვერ გავაკეთებთ. ამიტომ სამუშაოებისთვის ვფიქრობ, რომ 20-25 მილიონის ინვესტიცია იქნება საჭირო, მხოლოდ გვირაბის ნაწილში. თუ იქ რამე კრიტიკული უბნები გამოჩნდა, ამას მეტი დრო და ფინანსები დაჭიდრება.

— რაც შეეხება ელექტროენერგიის დეფიციტის შევსებას, რა გზებით მოხდება თუ არის უკვე გადაწყვეტილი?

— 2017 წელს გაჩერება მოხდება მარტის თვეში, რადგან ზამთრის თვეებში „ენრგუჰესის“ ელექტროენერგიაზე დიდად არ ვართ დამოკიდებული, გადასაწყვეტი იქნება აფხაზეთის ელექტროენერგიით მომარაგება, თუმცა ამის რესურსი გვექნება. ახალი ჰიდროელექტროსადგურები არიან შემოსული ექსპლუატაციაში, შესაძლოა, ექსპორტის ნაცვლად ჩვენ დავიტოვოთ ელექტროენერგია. პრობლემა არ შეიქმნება, თუმცა, შესაძლოა, იყოს ოდნავ ძვირი, იქიდან გამომდინარე, რომ „ენრგუჰესის“ ადეკვატური იაფი რესურსი არ გვაქვს და ამის ჩანაცვლება ვერ მოხდება, თუმცა ეს არ იქნება დიდი პრობლემა ჩვენი ელექტროსისტემისთვის. რაც შეეხება შემდეგ წელს, აქ უკვე გენერალურად იქნება მოსამზადებელი, გაჩერება უფრო გრძელვადიანი იქნება, დაგვჭირდება მობილიზაცია, როგორ მოხდება დაკლებული ელექტროენერგიის კომპენსირება, როგორც აფხაზეთისთვის, ისე მთელი საქართველოსთვის. რადგან ამ პერიოდში უფრო მეტი დეფიციტის შექმნის საშიშროების წინაშე დადგება ქვეყანა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ეს გაკეთდა 2006 წელს, როცა გაცილებით ნაკლები ჰიდროელექტროსადგურები გვქონდა, ნაკლები რესურსები და ნაკლები ფული და იმედი მაქვს, რომ პრობლემები არც დღეს შეიქმნება. ეს არის პროცესი, რომელიც აუცილებლად უნდა გავაკეთოთ კატასტროფების თავიდან ასაცილებლად, აუცილებლად გასაკეთებელი თემაა .

— დანაკლისი რა მოცულობის იქნება?

— „ენგურჰესის“ გამომუშავება არის 3,5 მილირდი. ეს არის მთელი ქვეყნის ენერგომომარაგების 30%-მდე. ქვეყანა 11 მილიარდამდე მოხმარებაზე ავიდა. 3 კვირით გაჩერება ეს არის 200-300 მილიონის არ გამომუშავებული ენერგია ენგურზე. ეს იქნება უკვე ზამთარგადავლილი პერიოდი, მარტში ყველაზე ნაკლები გამომუშავება აქვს ხოლმე ენგურს და სწორედ ამ პერიოდში ვგეგმავთ გაჩერებას, რომ ნაკლები საკომპენსაციო ენერგია დაგვჭირდეს.

— რეაბილიტაციისთვის საჭირო თანხის მოზიდვას საერთაშორისო ინსტიტუტებიდან გეგმავთ?

— ჩვენ ტრადიციულად ჰესების რემონტებისთვის ყოველთვის გვქონდა სესხი მოზიდული. 2003-2004 წლებიდან მოყოლებული 200 მილიონზე მეტი მოვიზიდეთ. ახლაც, პერმანენტულად ხორციელდება რეაბილიტაციები. დონორ ორგანიზაციებთან კარგი გამოცდილება გვაქვს და ვფიქრობთ, რომ მათგან მივიღებთ მხრადაჭერას ამ პროექტის განხორციელების ფარგლებში.

ესაუბრა
სალომე სოსელია

12 164 მოქალაქეს მიწა საკუთრებაში დაურეგისტრირდა

იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა გუშინ მიწის რეგისტრაციის რეფორმის მიმდინარეობის პირველი თვის შედეგები შეაჯამა. უპრეცედენტო პროექტი, რომელმაც მოქალაქეებისთვის მიწის რეგისტრაციის პროცესში არსებული ბარიერები მოხსნა, ხოლო პროცედურები მაქსიმალურად გაამარტივა, 1 აგვისტოდან დაიწყო.

1 აგვისტოდან დღემდე საჯარო რეესტრში, მთელი ქვეყნის მასშტაბით, 45 575 განცხადება შემოვიდა (შარშან ამავე პერიოდში იდენტური მოთხოვნით მხოლოდ 7 526 მოქალაქემ მოგვმართა). აქედან 12 164 შემთხვევაში საჯარო რეესტრმა თავად მოიძია საჭირო საბუთები და ყოველგვარი ბარიერის გარეშე მოქალაქეს მიწა წარმატებით დაურეგისტრირა. 25 743 შემთხვევაში საჯარო რეესტრმა, რეფორმის შედეგად შეძენილი ახალი უფლებამოსილებების წყალობით, მოქალაქის ნაცვლად თავად დაიწყო სხვადასხვა უწყებაში შესაბამისი საბუთების მოძიება და ამ განცხადებათა დიდი ოდენობა ასევე წარმატებით დასრულდება, 4 648 განცხადება კი ამჟამად შესწავლის პროცესშია.

განცხადებების წარდგენის კუთხით, ყველაზე მაღალი აქტივობით შემდეგი მუნიციპალიტეტები გამოირჩევა: გარდაბანი, მცხეთა, თბილისი, მარნეული, ოზურგეთი, დუშეთი, ზუგდიდი, თელავი, გორი და ლანჩხუთი. ერთი თვის განმავლობაში დღეში, საშუალოდ, 1400 განცხადება შემოდიოდა, ხოლო რეკორდულად დიდი ოდენობის განცხადება 31 აგვისტოს შემოვიდა (4994). მოქალაქეთა ასეთმა მოზღვავებამ საჯარო რეესტრის ასეულობით თანამშრომლის განსაკუთრებული ძალისხმევა მოითხოვა. მით უმეტეს, რომ თითოეულ განცხადებაზე რეგისტრატორი მოქალაქეს ტელეფონით უკავშირდება და მის თაობაზე დამატებით განმარტებებს პირადად აწვდის... დიდი მადლობა მათ.

„ეს რეფორმა რომ არ ყოფილიყო და საჯარო რეესტრში 1 თვეში იგივე ოდენობის განცხადება შემოსულიყო, მხოლოდ საქართველოს ეროვნული არქივიდან მოქალაქეებს 23 344 ცნობა თავისით უნდა გამოეთხოვათ და ამაში ჯამში 1 მილიონ ლარზე მეტი უნდა გადაეხადათ, მთავრობამ და პარლამენტმა კი ეს და სხვა ფინანსური ტვირთი მოქალაქეს მთლიანად მოუხსნა“, — განაცხადა საჯარო რეესტრის ხელმძღვანელმა პაპუნა უგრეხელიძემ.

◎ წერილი ქუთაისიდან

შრომის დიდების მემორიალი აუცილებლად უნდა გადარჩეს!

პატივცემულო რედაქციავ!

საზოგადოება „ძველი ქუთაისელების“ სხდომაზე განვიხილეთ თქვენი გაზეთის 2016 წლის 3 აგვისტოს №158-ში გამოქვეყნებული წერილი. „მემორიალი უნდა გადარჩეს“, რომელიც ეხებოდა ქალაქ ქუთაისისთვის აქტუალურ საკითხს, ქალაქის ცენტრში განლაგებულ შრომის დიდების მემორიალის სხვაგან გადატანას და მის ადგილზე ადრეულ წლებში დანგრეული მცირე ზომის ბაზილიკის აღდგენას.ეს არის მეუფე კალისტრატესა და მასთან ერთად რამდენიმე ქუთაისელის წინადადება.

საზოგადოება „ძველი ქუთაისელების“ აზრით, რომელსაც იზიარებს ქუთაისში მცხოვრებთა უმრავლესობა, მემორიალმა ადგილი არ უნდა შეიცვალოს, პირიქით ადგილზე უნდა შეკეთებდეს მემორიალის დაზიანებული ნაწილები და განახლდეს. გამოირკვა, რომ მშენებლობის დროს მემორიალის ტერიტორიაზე არავითარი ეკლესიის ნაშთი არ ყოფილა. ბაზილიკა მდებარეობდა მემორიალის მიმდებარე ტერიტორიაზე,რომელიც დაუნგრევიათ 1943 წელს და მის ადგილზე აუგიათ ქალაქის ადმინისტრაციული შენობა.

მეუფე კალისტრატეს მოთხოვნით ქალაქის ხელმძღვანელობამ ამ ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე გამოყო ფართი,სადაც გაიხსნა სამლოცველო, რომელიც დღესაც ფუნქციონირებს.

შრომის დიდების მემორიალი დღიდან აგებისა ორგანულად შეერწყმა გარემოს. დღეს ქალაქის ცენტრის ეს ნაწილი წარმოუდგენელია მემორიალის გარეშე. ყოველდღიურად მას ასობით უცხოელი ტურისტი ათვალიერებს და ფოტოაპარატით თუ კინოობიექტივით იღებს.

თქვენს გაზეთში გამოქვეყნებულმა წერილმა დაჩქარა მოვლენები. ქალაქს ორჯერ ეწვია მემორიალის ავტორი, არქიტექტორი ვახტანგ დავითაია. ჰქონდა შეხვედრები იმერეთის გუბერნატორთან,ქალაქის მერთან და ვიცე-მერთან. მიღწეულია შეთანხმება მემორიალის ადგილზე შეკეთებასა და ქანდაკებების შეცვლაზე.

იმედი გვაქვს,როგორც ყოველთვის, ეს შეთანხმება შესრულდება.

საჭიროდ მიგვაჩნია ქალაქის შესაბამისი სამსახურების ხელმძღვანელებმა მემორიალის ავტორთან ერთად შექმნან მემორიალის აღდგენის ტექნიკური დოკუმენტაცია, ,,ინტერნეტის საშუალებით გამოაცხადონ კონკურსი შესაცვლელი ქანდაკებების შექმნაზე, წლის ბოლომდე შეაჯამონ კონკურსის შედეგები, რათა დაჩქარდეს მათი შექმნა და ქალაქში ჩამოტანა.

სასურველია, განახლებული მემორიალის გახსნა დაემთხვეს 2017 წლის ქალაქის ტრადიციულ დღესასწაულს „ორმაისობას“, რაც კიდევ უფრო მიმზიდველს გახდის ზეიმს.

თქვენი რედაქციისადმი დიდი პატივისცემით,

საზოგადოება „ძველი ქუთაისელების“ წევრები.

პროქართული დიპლომატის პასუხი თავდაყირა მოაზროვნე პოლიტიკოსებს და ექსპერტებს

შესავლის მაგივრად

თავშივე მინდა განვაცხადო, რომ ეს წერილი არ ეხება მხოლოდ საგარეო პოლიტიკას. ასე ვთქვათ, მას მხოლოდ ნაწილობრივ ეხება. მასში გამოყენებულია რამდენიმე ფრაგმენტი ჩემი ძველი სტატიებიდან თუ გამოსვლებიდან. შესაძლოა, შინაარსობრივადაც ტექსტს აკლია აკადემიური სინატიფე და სტრუქტურულადაც მისი სხვადასხვა ქვეთავები უფრო ცალკე აღწერილ ფრაგმენტებს წარმოადგენს. მინდა, აგრეთვე ხაზგასმით აღვნიშნო, რომ წინამდებარე სტატია არ არის გამიზნული რაიმე სახის რეკომენდაციის ან რჩევების მისაცემად. უბრალოდ, ამ ტექსტით მინდა პასუხი გავცე ზოგიერთ ადგილობრივ პოლიტიკოსს და ექსპერტს, რომლებიც შეგნებულად ცდილობენ, თავდაყირა დააყენონ ჩვენი საგარეო პოლიტიკის კურსი, მოცემულობა, პრიორიტეტები, ჩვენი სახელმწიფო ინტერესები და მოვძებნო პასუხი, თუ რით არის ეს განპირობებული – მხოლოდ პირადი ინტერესებით და ამბიციებით? შევეცდები, ამ ყველაფერს ქვემოთ მოვუძებნო ახსნა, ხოლო დასკვნების გაკეთება მკითხველისთვის მიმინდია.

1.„ქართული ოცნების“ საგარეო პოლიტიკის ოთხი წელი - შეცდომის დაშვების უფლების გარეშე გეოპოლიტიკური არეულობის ზონაში..

მიმდინარე წლის ოქტომბრის ბოლოს სრულდება „ქართული ოცნების“ სახელისუფლებო (მათ შორის საპარლამენტო) საქმიანობის მეოთხე წელიწადი. წინ ახალი გამოწვევები და ამოცანებია, რომლებიც ჩვენმა ქვეყანამ ეკონომიკის აღორძინებით, დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებით, მათი შემდგომი მოდერნიზაციისა და ტრანსფორმაციის გზით უნდა გადაჭრას. ჩვენი მიზანია 2012 წელს დაწყებული ძლიერი, დემოკრატიული სახელმწიფოს აღმშენებლობის პროცესის გაგრძელება და მისი ხარისხობრივად უფრო მაღალ დონეზე აყვანა. ეს, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს საქართველოს თითოეული მოქალაქის კეთილდღეობასა და ქვეყნის განვითარებაში სტაბილურობის განმტკიცებას. საქართველო უნდა იყოს საერთაშორისო თანამეგობრობის ღირსეული და საჭირო წევრი, მოკავშირეებისთვის პროგნოზირებადი და სანდო სახელმწიფო, რომელიც ყოველთვის მზად იქნება, დაიცვას პირველ რიგში, რა თქმა უნდა, საკუთარი სტრატეგიული მიზნები, მაგრამ აგრეთვე, ნაკლები რისკების ფასად, გაითვალისწინოს და გათვალოს „სხვისი“ ინტერესებიც. სასურველია, ამ ურთულესი პოლიტიკური პარტიტურის რეალიზება მოხდეს დღეს მსოფლიოში არსებული „რეალპოლიტიკის“ რეჟიმში, რეგიონული და გლობალური უსაფრთხოების ყველა პარამეტრის დაცვით.

ჩვენ არათუ სულ უნდა გვახსოვდეს, თუ ვინ ვართ, ან როგორი „დიადი მემკვიდრეობის, ტრადიციების და კულტურის მქონე ქვეყანა ვართ“, არამედ არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, თუ სად მდებარეობს საქართველო, როგორია მისი უძველესი წარსული, ისტორიული ურთიერთობები სამეზობლოსთან და როგორ აღიქმება დღეს ამ სახელმწიფოების მიერ ჩვენი სტრატეგიული ამოცანები და პერსპექტივები. საგარეო პოლიტიკის განსაზღვრასა და რეალიზებაში, სახელმწიფო სტრუქტურებთან ერთად, რა თქმა უნდა, სათანადო როლი და ფუნქცია უნდა ჰქონდეთ უშუალოდ საქართველოს მოქალაქეებს, სამოქალაქო სექტორს. ასე ფუნქციონირებს საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმები დღევანდელ მსოფლიოში და ჩვენმა ქვეყანამ ესეც უნდა გაითვალისწინოს.

მოგეხსენებათ, უკვე დიდი ხანია, რაც საქართველოს საგარეო პოლიტიკის და დიპლომატიის სფეროში ვმუშაობ. თავს გარკვეულწილად ვალდებულადაც ვთვლი, რომ სწორედ დღეს, როდესაც ოთხწლიანი პერიოდის შეჯამების დრო დადგა, შემოგთავაზოთ ჩემი ზოგიერთი ხედვა, რომელიც იქნებ ქართველი პოლიტიკოსების მომავალ თაობასაც გამოადგეს, თუნდაც მათ, ვინც ხელისუფლებაში დარჩება ან მოვა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ და მაღალ სახელმწიფო პოსტებს დაიკავებს.

რატომ გადავწყვიტე ამის გაკეთება? ვთვლი, რომ დღეს საქართველო, დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, გარკვეულ, გარდამტეხ ეტაპზეა. ჩვენ გვაქვს მიღწევები, რომლებიც აღიარებულია ჩვენი ხალხის და საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ და აგრეთვე დაშვებული გვაქვს შეცდომებიც, რაც პრინციპში, გარდაუვალი იყო, ვინაიდან ჩვენ 1990 წლიდან ვაშენებდით ახალ, დამოუკიდებელ და სუვერენულ სახელმწიფოს და ამის გამოცდილება არ გვქონდა.

პრეტენზია არ მაქვს, რომ ყველა კითხვას პასუხს გავცემ და ყველა საკითხზე ერთადერთ მართებულ დასკვნას გამოვიტან. მინდა, კიდევ ერთხელ აღვნიშნო, რომ გიზიარებთ მხოლოდ ჩემს პირად მოსაზრებებს და მზად ვარ მომავალი განხილვისა და დისკუსიისთვის, რომელშიც სხვებთან ერთად, მონაწილეობას მიიღებს და საკუთარ აზრს გამოთქვამს ზოგიერთი ის „ექსპერტი“ თუ პოლიტიკოსიც, რომელიც თითქმის ყოველდღურ რეჟიმში გვმოძღვრავს და ღვარძლიანად გვაკრიტიკებს პრესის ფურცლებიდან და სატელევიზიო ეკრანიდან. საერთოდ კი ვთვლი, რომ ჩვენი საზოგადოებისა და ასევე საგარეო პოლიტიკის სფეროში მოღვაწე ადამიანებისთვის, კონკრეტულად კი ჩვენი დიპლომატებისთვის, ძალიან სასარგებლო იქნებოდა გარკვეული სახის ღია „სადისკუსიო კლუბის“ არსებობა, რათა საუკეთესო იდეები და მოსაზრებები, თუნდაც ოპოზიციური თუ ჰიპოთეტური ხასიათის, ქვეყნის საგარეო პოლიტიკის დახვეწას, ოპტიმალური ვარიანტების მოძებნას და ჩამოყალიბებას მოხმარდეს.

როგორც ე.წ. „ქაოსის თეორია“ გვასწავლის, პატარა პეპელას ფრთების ფარფატმა სადღაც ინდონეზიაში, შესაძლოა, უზარმაზარი ეკოლოგიური კატაკლიზმები გამოიწვიოს მისგან შორეულ ევროპის რომელიმე სახელმწიფოში. ბუნებაში ყველაფერი ერთმანეთთან არის დაკავშირებული. ასეა პოლიტიკაშიც: ის, რაც ხდება საქართველოდან მოშორებით, იქნება ეს ევროპა თუ ამერიკა (არაფერს ვამბობ ჩვენ უახლოეს სამეზობლოზე), აუცილებლად აისახება ჩვენი სახელმწიფოს მდგომარეობაზე, მასში მიმდინარე პროცესებზე და არსებულ პერსპექტივებზე.

თედო ჯაფარიძე:

საქართველო - დასავლეთის ბუნებრივი პარტნიორი რეგიონში

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საერთოდ პოლიტიკაზე და კონკრეტულად მის საგარეო მიმართულებაზე ჩვენს მსჯელობას და დისკუსიებს აკადემიური, მეცნიერული კომპონენტი აკლია. ჩვენ გვყავს მაღალი დონის მეცნიერები და ექსპერტები, რომელთა აზრის გათვალისწინება პოლიტიკური პროცესების სწორად და ადეკვატურად აღქმას და წარმართვას წაადგებოდა. საჭიროა ამ პრობლემის სისტემურად გადაჭრა – ე.წ. „საგარეოპოლიტიკური ისტებლიშმენტის“ შექმნა, რომელშიც გაერთიანებულები იქნებიან პოლიტიკოსები, მეცნიერები, ჟურნალისტები, ექსპერტები, ბიზნესისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები. უნდა შეიქმნას სათანადო პროფილის ინსტიტუტები, კვლევითი ცენტრები, ფონდები. ამგვარი სისტემა ყველა დემოკრატიულ სახელმწიფოში არსებობს, თუმცა, ეს ყველაფერი იმ ქვეყნებში საუკუნეების განმავლობაში იქმნებოდა და იხვეწებოდა. გასაგებია, რომ ეს საკმაოდ დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული, მაგრამ სწორედ ამგვარი სისტემის არსებობამ საქართველოს უნდა მოუტანოს არა მხოლოდ პოლიტიკური თუ სტრატეგიული, არამედ ფინანსური და ეკონომიკური დივიდენდებიც.

დიპლომატია, როგორც სახელმწიფოს წარმატების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, მხოლოდ საგარეო მოხმარების საგანი არ არის. გამართული და ადეკვატური საგარეო პოლიტიკა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სახელმწიფოებრივ აღმშენებლობას, ეკონომიკის მდგრად განვითარებას, ქვეყანაში დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის გამყარებას.

2. საქართველო - სტაბილურობის კუნძული

ეს არის ამონარიდი ავტორიტეტულ ესპანურ გაზეთ „ელ პაისში“ დაბეჭდილი სტატიიდან: „საქართველო, რომელიც რუსეთსა და თურქეთს შორის მდებარეობს, დღეს ამ ტურბულენტურ ზონაში სტაბილურობის კუნძულს წარმოადგენს“, წერს პუბლიკაციის ავტორი, ცნობილი ჟურნალისტი პილარ ბონე. რამდენი რამ არის ნათქვამი ამ ფრაზით!

საქართველო დასავლეთისა და აღმოსავლეთის სამყაროთა (თუ ცივილიზაციების) უმსხვილესი სახელმწიფოების გეოპოლიტიკური ინტერესების იმ გზაგამყოფს წარმოადგენს, რომელზეც საუკუნეების განმავლობაში უამრავი, განსხვავებული სტრატეგიული ვექტორი და ინტერესი იკვეთება. ამიტომაც გლობალიზაციის თანამედროვე ეპოქაში არც ერთი მოვლენა არ უნდა მოგვეჩვენოს შორეულად და უმნიშვნელოდ. როდესაც ვსაუბრობთ ჩვენს ურთიერთობებზე ევროპასა და ამერიკასთან, უნდა გვახსოვდეს, რომ ბაღდადი, კირკუკი, თეირანი, დამასკო და ალეპო – და მთლიანად ახლო აღმოსავლეთის ფეთქებადსაშიში რეგიონი – ჩვენთან ასე ახლოსაა. როგორც ადრე, ისევე დღესაც უსაფრთხოება, სტაბილურობა, ეკონომიკური განვითარება, და საბოლოო ჯამში, ნებისმიერი ქვეყნის დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი, ერთმანეთზე დამოკიდებული, ერთმანეთში გადაჯაჭვული ელემენტებია. როგორც ე.წ. „ქაოსის თეორია“ გვასწავლის, პატარა პეპელას ფრთების ფარფატმა სადღაც ინდონეზიაში შეესაძლოა, უზარმაზარი ეკოლოგიური კატაკლიზმები გამოიწვიოს მისგან შორეულ ევროპის რომელიმე სახელმწიფოში. ბუნებაში ყველაფერი ერთმანეთთან არის დაკავშირებული. ასეა პოლიტიკაშიც: ის, რაც ხდება საქართველოდან მოშორებით, იქნება ეს ევროპა თუ ამერიკა (არაფერს ვამბობ ჩვენ უახლოეს სამეზობლოზე), აუცილებლად აისახება ჩვენი სახელმწიფოს მდგომარეობაზე, მასში მიმდინარე პროცესებზე და არსებულ პერსპექტივებზე.

დისკუსია უთუოდ გულისხმობს კრიტიკული შენიშვნების მოსმენასა და მათ გათვალისწინებას. სათანადო საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები საჯარო პოლიტიკის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. დღევანდელი დიგიტალური ყოფის (ინტერნეტი, სოციალური ქსელები, ტვიტერი, ინსტაგრამი და ა.შ) პირობებში უკვე გაჩნდა კიდევაც ასეთი ტერმინი – დიგიტალური დიპლომატია. დღევანდელ მსოფლიო პოლიტიკაში თითქმის არაფერი იმალება, ყველაფერი ერთდროულად ვირტუალურიც არის და რეალურიც, ლოკალურიც და გლობალურიც, მათ შორის დიპლომატია და მთლიანად საგარეო პოლიტიკა. თუმცა, დიპლომატის თუ სახელმწიფო მოხელის სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე ხშირად რთულია იმ მიღწევების გასაჯაროება, რასაც აღწევს, მაგალითად, ის პოლიტიკუ-

რი გუნდი, რომელსაც მეც წარმოვადგენ. ამ გუნდისთვის მთავარი საქმეა და არა ლაპარაკი. ძალიან ხშირად სწორედ ყოველდღიურ, უხილავ და რუტინულ სამუშაოს მოაქვს უფრო მნიშვნელოვანი, და არ შევუშინდები ამ სიტყვას – სტრატეგიული ხასიათის ან თუნდაც ისტორიული მნიშვნელობის წარმატება.

3.ეროვნული ინტერესების დაცვის მთავარი პირობები: რაციონალიზმი და პრაგმატიზმი

ჩვენი პოლიტიკური გუნდის მიღწევები წარმოადგენს არა მხოლოდ ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციისადმი ჩვენი ერთგულების სიმბოლოს, არამედ იმასაც რომ საქართველო რეალურად მონაწილეობს მსოფლიოს საერთაშორისო პოლიტიკაში. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ საქართველოს ხელისუფლება სათანადოდ აფასებს დამოუკიდებლობის მიღების შემდგომ ყველა ქვეყნის ხელისუფლების ღვაწლის სახელმწიფო ინსტიტუტებისა და საერთაშორისო იმიჯის განმტკიცებისთვის. ჩვენი სახელმწიფო აღმშენებლობა ხომ 2003 წლიდან არ დაწყებულა – გავიხსენოთ საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიღება, ახალი კონსტიტუციის შექმნა, ეროვნული ვალუტის შემოღება, ჯერ რუსი მესაზღვრეების და შემდგომ კი რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანა საქართველოდან და, რა თქმა უნდა, ისტორიული ხასიათის „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის“ და „სამხრეთკავკასიური გაზსადენის“ მილსადენების პროექტების რეალიზება, რომლებმაც სტრატეგიული ფუნქცია შესძინა ჩვენს ქვეყანას.

ეს ყველაფერი და კიდევ ბევრი რამ 2003 წლამდე მოხდა, მიუხედავად იმისა, რომ იმ დროს ბევრი უარყოფითიც ხდებოდა. გასაგებია, რომ არ უნდა დაიკარგოს ის დადებითი, რაც 2004 წლის შემდეგ გაკეთდა, თუმცა დავიწყებას არ უნდა მიეცეს ის ნეგატიური, რაც კონკრეტულად „ვარდების რევოლუციამ“ მოუტანა ქვეყანას. დამნაშავეები უნდა დაისაჯონ, სამართლიანობა უნდა აღდგეს. არავინ არ უნდა იდგეს კანონზე მაღლა და ამას არავითარმა „კოჰაბიტაციამ“ ხელი არ უნდა შეუშალოს, პირიქით, მან ხელი უნდა შეუწყოს ქვეყანაში მორღვეული პოლიტიკური თუ ინსტიტუციური ბალანსის აღდგენას, დემოკრატიული კონსოლიდაციის პროცესს. თუმცა, აქაც ზომა და ფორმაა დასაცავი და ეს არ უნდა იქცეს ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების მთავარ საკითხად. ჩვენ კიდევ ბევრი მნიშვნელოვანი საქმე გვაქვს გასაკეთებელი და ჩვენი პოლიტიკური თუ ემოციური ჟინი და ენერგია სწორედ ამ საქმის კეთებას უნდა მოხმარდეს! და კიდევ ერთი: სამართლიანობის თუ ინსტიტუციური ბალანსის აღდგენა ვინმე „უცხო კაცის“ კარნახით არ უნდა კეთდებოდეს. ეს ჩვენი გასაკეთებელია და „უცხო კაცი“ ამ პროცესის მხოლოდ სწორად წარმართვასა და დასრულებაში შეიძლება დაგვეხმაროს.

მოდით, პირდაპირ ვთქვათ, ამ ოთხი წლის განმავლობაში მსოფლიოსა და რეგიონში საკმაოდ შემაშფოთებელი მოვლენების განვითარების ფონზე, ჩვენი გუნდის პრაგმატულმა, რაციონალურმა და შედეგებზე ორიენტირებულმა პოლიტიკამ საშუალება მოგვცა, თავიდან აგვეცილებინა ისეთი ტექტონიკური ხასიათის ძვრები და მოვლენები, რომლებიც თავს დაატყდა ჩვენს მეზობელ ქვეყნებს და რეგიონებს. განსაკუთრებით ახლო აღმოსავლეთში განვითარებული მშფოთვარე პროცესები მაქვს მხედველობაში, რომლებიც გლობალურ სტაბილურობაზე ახდენს ყოველდღიურ გავლენას და მათ მიმართ, სხვებთან ერთად, განსაკუთრებულად მგრძნობიარედ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა რეაგირებს. ფაქტია, რომ როცა შენი მეზობელი ცუდადაა, შენ კარგად ვერ იქნები. საბედნიეროდ, საქართველო, ჯერჯერობით ფრთხილად და უშეცდომოდ გადის უფსკრულის პირას მდებარე „დანაღმულ გზას“. მერწმუნეთ, ამ გზის წარმატებით გავლა დიდი შრომისა და თავდადების ფასად გვიჯდება. მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი ქვეყნის განვითარების ამ ურთულესი მონაკვეთის სწორად გავლა არა მხოლოდ სახელისუფლებო პარტიის, არამედ საქართველოს ყველა პოლიტიკური ძალის მოვალეობაცაა.

ჩვენ მომავალშიც გავაგრძელებთ რაციონალური და პრაგმატული საგარეო პოლიტიკური კურსის გატარებას. ჩვენი საგარეო პოლიტიკა წარმატებულია ყველა მიმართულებით – როგორც უმსხვილეს პარტნიორებთან, ასევე ჩვენს მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობის თვალსაზრისით. დღეს საქართველო რეგიონული განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაწილეა. ამ ოთხი წლის მანძილზე ხელი მოეწერა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებას, გაიხსნა NATO-ს სასწავლო ცენტრი, ჩატარდა და კვლავ გაგრძელდება უპრეცედენტო სამხედრო სწავლებები დასავლელ სამხედროებთან ერთად. ამ წვრთნების პირველი ნაკადის უცხოელმა წარმომადგენლებმა საქართველოს დამოუკიდებლობის 25-ე წლისთავი სიმბოლურად ქართველ კოლეგებთან ერთად აღნიშნეს; აშშ-სთან ხელი მოეწერა თავდაცვისუნარიანობის ამაღლების მემორანდუმს. ველოდებით სავიზო რეჟიმის გაუქმებას ევროკავშირთან, რომელიც ჩვენი ქვეყნის დასავლურ ცივილიზაციასთან და მის იდეალებთან სწრაფვის ისტორიული მაგალითი გახდება. ჩვენთვის უმთავრესია, შევინარჩუნოთ მშვიდობა და სტაბილურობა. ვფიქრობ, ამ ოთხ წელიწადში ეს შევძელით. საგარეო მიმართულებით, როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ, გვქონდა დიდი პროგრესი დასავლეთთან ურთიერთობაში, ისე რომ, უფრო მეტად არ დავაზიანეთ ურთიერთობა რუსეთთან და სწორედ პრაგმატული პოლიტიკის შედეგად ავიცილეთ სამხედრო გართულებების საფრთხე. ეს არ მომხდარა და არც არასოდეს მოხდება ჩვენი ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის – ჩვენი უმთავრესი ეროვნული ინტერესის დათმობის ხარჯზე.

(გაგრძელება მომდევნო ნომერში)

თვითმარქვია წინასწარმეტყველი ვალერი გელბახიანი

ერთი წლის წინათ გელბახიანის შავბნელ საქმიანობაზე საკმაოდ მოზრდილი სტატია დავწერე, სადაც მთლიანად ვაშიშვლებდი ამ ვაჟბატონის პრიმიტიულ არსს, როგორც გამოვლენილი ქმედების, ისე დაფარული პოტენციური ნეგატივის მიხედვით.

სულმნათ ბადრი პატარკაციშვილს სურდა, ქართველთმოძულე სააკაშვილი ხელისუფლებიდან ჩამოეშორებინა, მაგრამ მის გადასარჩენად საზღვარგარეთის პოლიტიკური წრეები ფეხზე დადგნენ. რასაკვირველია, მარტო ისინი სააკაშვილს ვერ გადაარჩენდნენ, საქართველოში რომ არ გამოსჩენოდნენ თავგადაკლული დამცველები. ასეთებად, პირველ რიგში, მოიაზრებიან კოდუა და გელბახიანი. მართალია, ბატონ ბადრის დიდი წარმატება ჰქონდა ბიზნესში, არ დასცალდა თორემ იგივე წარმატება ექნებოდა პოლიტიკაში, მაგრამ ზოგჯერ ესოდენ დიდი გაქანების ადამიანებიც იჩენენ ვინმესადმი ზედმეტ ლოიალობას. სწორედ ამ კაცთმოყვარული თვისებით ისარგებლა გელბახიანმა და პატარკაციშვილის შტაბის უფროსობას გამოჰკრა ხელი. შემდეგ რაც მოხდა, ვფიქრობ, სკოლის მოსწავლისთვისაც ნათელი უნდა იყოს. გელბახიანის მიზანსწრაფული რჩევით პატარკაციშვილი შეხვდა ერეკლე კოდუას... აქ მარტო ღალატთან არ გვაქვს საქმე, არამედ პიროვნების ფიზიკურ განადგურებასთან. ბატონმა ბადრიმ ვერ გადაიტანა ის, რომ ამ შარლატანებმა, არაადამიანებმა მოატყუეს იგი.

ყველას კარგად გვახსოვს, სააკაშვილმა გელბახიანს სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში დასდო ბრალი. ასეთ დამნაშავეებს ნებისმიერ ქვეყანაში უმკაცრესად სჯიან. თუ სამუდამო პატიმრობას არ მიუსჯიდნენ მას, ოცწლიანი საპყრობილე განაღდებული ჰქონდა. ასეთი იყო მცოდნე და გამოცდილი იურისტების აზრი. სინამდვილეში რა მოხდა? – სავარაუდოა, სააკაშვილმა გელბახიანი ფულით ჯიბედატენილი გაამგზავრა საზღვარგარეთ. იბადება კითხვა: რამდენიმე წელიწადი უმუშევარი გელბახიანი რით ირჩენდა თავს? – მისი იურისტობა საზღვარგარეთ ვის დასჭირდებოდა? რასაკვირველია, მეორე კითხვაც იბადება: რატომ არ გამოცხადდა მასზე საერთაშოროსო ძებნა, როგორც სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის მონაწილეზე?

რამდენიმე წლის შემდეგ, ჯერ კიდევ სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს, ჩამოდის საქართველოში და განაგრძობს თავის შავბნელ საქმიანობას. ამჯერად სადისკრედიტაციოდ მიზანში ჰყავს ამოღებული ბატონი ბიძინა ივანიშვილი. რასაკვირველია, ბოროტი არსების ნაბოდვარს ხალხი არ აჰყვა და ბატონმა ბიძინამ, საღად მოაზროვნე ადამიანების დახმარებით, სააკისტები ხელისუფლებას ჩამოაშორა.

ძალიან მსურს, გავიგო ბატონი ბადრი პატარკაციშვილის ოჯახის წევრები რა წარმოდგენის არიან ამ თაღლით გელბახიანზე, როგორც ვიცი, ოფიციალურად, საჯაროდ, მათი აზრი არ გახმაურებულა ამ კაცზე.

მე, ასე ვფიქრობდი, ჩემი წერილის გამოქვეყნების შემდეგ გელბახიანს თავს დაატყდებოდა კრიტიკის ქარცეცხლი, ან თვითონ გამოვიდოდა და თავს იმართლებდა მეტად მძიმე დანაშაულის ჩადენის უარყოფით. არაფერი ამის მსგავსი არ მომხდარა. ისე, ჩემი ხსენებული სტატია ყველას მოეწონა და ასეთ დასკვნას აკეთებდნენ: ნუთუ აქამდე ვერ ვხვდებოდით, რომ გელბახიანის სინდისზე არის ბატონი ბადრის ტრაგედიაო?

ბატონი ბიძინა არ იკმარა, ამჟამად ცილს წამებს ბატონ კახი კალაძეს. თურმე სახელმწიფო მოღვაწისთვის დანაშაული ყოფილა სპორტსმენობა. პირიქით, ყველა ნორმალური ახალგაზრდა სპორტსმენი უნდა იყოს.

აბრაამ ლინკოლნი და ჰარი ტრუმენი გამოჩენილი სპორტსმენები იყვნენ. ტრუმენი პროფესიონალი მოკრივე გახლდათ.

კახი კალაძე ერთ-ერთი ნათელი ფიგურაა ქართულ პოლიტიკაში. კაცი უხელფასოდ მუშაობს, მარტო ამის აღნიშვნა რად ღირს? უდავოდ ყველაზე გამორჩეული პროფესიონალი ფეხბურთელი იყო საქართველოდან. ჯერ კიდევ საზღვარგარეთ ყოფნისას ბიზნესში საკმაო წარმატებას მიაღწია. მინისტრად დანიშნეს და აქაც თავი გამოიჩინა. ქართული ენერგეტიკა პროგრესს განიცდის. გელბახიანი შუაღამით, ცილისმწამებლურ წერილებს რომ წერს, ვისი დამსახურებაა?.. ეს ხუმრობაა, მაგრამ გელბახიანისმაგვარ არსებებს ღამე „სინათლე“ კი არა, დღის სინათლე უნდა ენატრებოდეს.

ახლა ისე გათავხედდა, რომ ცდილობს, შექმნას ვერსია და 7 ნოემბრის დარბევის იდეა ბატონ ბიძინას გადაბრალდეს. წავიკითხოთ გაზეთი „ასავალ-დასავალი“ (№34, 22 აგვისტო). ხედავთ, ხალხნო! რამხელა დანაშაულის მოხსნა სურს გელბახიანს სააკაშვილისთვის? თუ ამის შემდეგ ვიტყვი, რომ გელბახიანს არც ერთი გაზეთის გვერდები არ უნდა დაეთმოს (რასაკვირველია, მხედველობაში არ მაქვს სააკაშვილის დაქვემდებარებაში მყოფი გაზეთები და ტელევიზიები) არ უნდა ჩამეთვალოს არადემოკრატიულობაში. პირიქით, ბოროტი ჭორების წინააღმდეგ წასვლა, საჭიროცაა და თითოეული მოქალაქისთვის წმიდათაწმიდა მოვალეობაა.



გივი ჯაჩუა

იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატებს მხარი დაუჭირა

იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატებს მხარი დაუჭირა. კანდიდატები დეპუტატებს გიორგი მარგველაშვილის საპარლამენტო მდივანმა ანა დოლიძემ წარუდგინა.

პრეზიდენტმა მოსამართლეობის კანდიდატებად ლევან ბოძაშვილი, ნონა თოდუა და თამარ ლილუაშვილი წარადგინა.უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების დამტკიცების საკითხი საპარლამენტო სესიამ უნდა განიხილოს, თუმცა უცნობია, ხვალ იქნება თუ არა კვორუმი. პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი აცხადებს, რომ აუცილებელია პარლამენტმა საკუთარი მოვალეობა შეასრულოს და უზენაესი სასამართლოს კანდიდატები, რომლებიც პრეზიდენტმა წარადგინა, დაამტკიცოს.

ირაკლი კობახიძე: ზუგდიდის ინციდენტში „ოცნების“ აქტივისტები არ ყოფილან!

როგორც ჩვენ არაერთგზის აღვნიშნეთ, გვაქვს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ არის დაგეგმილი გარკვეული ტიპის პროვოკაციები. თუ დადასტურდება ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ეს პროვოკაციები შეიცავს დანაშაულის ნიშნებს,ამ შემთხვევაში აუცილებლად მივმართავთ სამართალდამცავ ორგანოებს.

ჩვენი მიზანია პრევენცია, ჩვენი ამოცანაა ყველანაირი გართულების თავიდან აცილება, საბოლოო ჯამში, ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ამ არჩევნეზე, როგორც მმართველი პარტია, აქედან გამომდინარე, ჩვენს ინტერესებშია, რომ ეს არჩევნები ჩატარდეს სამართლიანად, კორექტულად. ამისთვის ყველაფერს გავაკეთებთ. გუშინდელი ჩვენი განცხადებები მხოლოდ პრევენციას ემსახურება. ჩვენი თვითმიზანი არ არის რაიმე სახის პროვოკაციაზე წინასწარ ვისაუბროთ და მერე ეს მოხდეს. პირიქით, ჩვენი ამოცანაა პრევენცია, რომ ჩვენს ქვეყანაში, წინასაარჩევნო პერიოდში არანაირ პროვოკაციას არ ჰქონდეს ადგილი. რაც შეეხება ზუგდიდის მცირე ინციდენტს, იქ ჩვენი აქტივისტები ჩართულები არ ყოფილან. ჩვენ გადავამოწმეთ იმთავითვე ინფორმაცია ზუგდიდთან დაკავშირებით. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, ჩვენი აქტივისტები იქ ჩართულები არ ყოფილან...

◎ გზები...

მალე ქობულეთის შემოვლითი გზა გვექნება

ქობულეთის შემოვლითი გზის (მეორე ლოტის) 18-კილომეტრიანი მონაკვეთის სამშენებლო სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს. აღნიშნულ მონაკვეთზე საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე გრძელი (1180-მეტრიანი) ხიდი ახალი ტექნოლოგი-

ით — ბურჯზე მოძრავი ყალიბის მოწყობის მეთოდით შენდება. პროექტი ასევე ითვალისწინებს: ორზოლიანი გზაზე ასფალტ-ბეტონის საფარის დაგებას, 15 ხიდის, 2 გვირაბის და სხვა ხელოვნური ნაგებობების მშენებლობას. ამ დროისათვის, მონაკვეთზე ასფალტ-ბეტონის საფარი იგება.

მიმდინარე სამშენებლო სამუშაოები საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ ირაკლი ხერგიანმა დაათვალიერა.

ქობულეთის შემოვლითი გზა აჭარის ტერიტორიაზე ადგილობრივი და სატრანზიტო ტრანსპორტისათვის გადაადგილებას გაამარტივებს, მნიშვნელოვნად შემცირდება მგზავრობის დრო და ხარჯები. აჭარის ზღვისპირა ზოლიდან სატრანზიტო მოძრაობის ახალ გზაზე გადართვა კი ხელს შეუწყობს კურორტების ეკოლოგიურად გაჯანსაღებასა და რეგიონში ტურიზმის სრულფასოვან განვითარებას.

პროექტს აზიის განვითარების ბანკი (ADB) აფინანსებს და მისი ღირებულება 209,852,079.67 ლარია.

ქუთაისის ქუჩის რეაბილიტაცია დასკვნით ეტაპზეა

ამ მომენტისათვის სავალ ნაწილზე ასფალტის საფარი იგება.უკვე დასრულდა საფეხმავლო ტროტუარებისა და ბეტონის ბორდიურების რეაბილიტაცია.

პროექტის ფარგლებში, განხორციელდა დაზიანებული ასფალტის საფარის დემონტაჟი. სამუშაოები 3500 კვ.მ ფართობზე მიმდინარეობს.

,,ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა“ ქუთაისის ქუჩაზე წყალსადენის ქსელის მოძველებული 880 მეტრი სიგრძის მონაკვეთი ახლით შეცვალა. ასევე, წყალარინების ქსელის 200 მეტრის სიგრძის ამორტიზებული მონაკვეთი განაახლა. წყალმომარაგების სტაბილურობისა და გაუმჯობესებისათვის კომპანიამ ახალი ევროსტანდარტის ჩამკეტ-მარეგულირებელი ურდულები დაამონტაჟა. აღნიშნული ღონისძიებები ქუთაისის ქუჩის წყალმომარაგებას მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს.

დაგეგმილი კაპიტალური სამუშაოებიდან გამომდინარე, ქუთაისის ქუჩა 25 ივლისს გადაიკეტა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობის მარშრუტები დროებით შეიცვალა.

◎ პური ჩვენი არსებისა

ნუ ვეცდებით საბაზების ჯამბაზებად გადაქცევას!

მიირთვით ყველაზე ნეიტრალური და სასარგებლო პროდუქტი

პური ძირითადი საკვები პროდუქტია და ამიტომაც მასთან დაკავშირებული საკითხები: რაოდენობა, ფასები, ხარისხი, ასორტიმენტი, ტრანსპორტირება, შეფუთვა, უვნებლობა, დიეტური თუ დიაბეტური პროდუქცია მოსახლეობის ინტერესთა სფეროშია. ხშირად ამაზე სხვადასხვა მოსაზრება და ვერსია ვრცელდება. არიან ადამიანები, რომლებიც დილეტანტურ დონეზე აფასებენ რეალობას, რის წინაშეც დღეს დგას დარგი. მცდარი და არაკომპეტენტური შეფასებები მოსახლეობის შეცდომაში შეყვანას და ნეგატიური დამოკიდებულების გაჩენას უწყობს ხელს. ამის გამო ვცდილობ, სწორი განმარტებები და არსებული გარემო უფრო გასაგებად ავხსნა. უამრავი წინააღმდეგობის მიუხედავად პური ის ძირითადი საკვები პროდუქტია, რომელიც სტაბილურად ინარჩუნებს ფასს.თუმცა, ბოლო ხანებში ალოობისას, როგორც წესი, აჟიოტაჟს ტეხენ ხოლმე ფასების დაკლებასთან დაკავშირებით. არადა, მახსოვრობა რომ არ ღალატობდეთ, გაისენებდნენ, რომ როდესაც მაღალი ფასები და დოლარიც ცვალებადობდა, პური ის ერთადერთი პროდუქტი იყო, რომელიც სტაბილურად ინარჩუნებდა ფასს.

მოდით, სიმართლეს თვალი გავუსწოროთ. დროს ჩაბარდა 90-იანი წლები, როდესაც თბილისს დღე- ღამეში 500-600 ტონა პური არ ყოფნიდა. თუ დღევანდელი ნორმებით ვიმსჯელებთ, მარტო დედაქალაქში 1 მოსახლეზე იანგარიშება სადღეღამისო ნორმა 300 გრ.გაჩნდა გერმანული, შვეიცარიული, ავსტრიული, იტალიური, ლიტვური და სხვადასხვა ქვეყნების დასახელების საწარმოებიც. ლამის ყოველ ფეხის ნაბიჯზე ჩნდება ქართული პურის საცხობი — საწარმოებიც. დაგებადებათ კითხვა — სად ვხედავ პრობლემებს? გიპასუხებთ — პრობლემაა სტაბილური ფქვილის მიღებაში, რაშიც ბევრი დიასახლისი დაგვეთანხმება, პრობლემებია ტექნოლოგიებში, რადგანაც პური არც ლიტვიდან ჩამოდის და არც გერმანიიდან, მას თბილისში ამზადებენ სხვადასხვა დანამატებითაა და ინგრედიენტებით, თუმცა ჩვენში დანამატების თემას მტკივნეულად აღიქვამენ. აქ ეკოლოგიურ საკითხებთან და ფერმენტებთან, აგრეთვე ბიოქიმიასთან მივდივართ, რასაც პროვოკაციული, ხშირად სატყუარა რეკლამებიც უწყობენ ხელს, მაგალითად „ჩვენ არ ვღებავთ“ ანდა „პური საფუარის გარეშე“ „შაქარი ნოლი“ ამ რეკლამებით მავანი ცდილობს თავის გამოჩენას სხვებთან შედარებით. იცით რატომ შეჩერდა თბილისში ბევრი პურის ქარხანა? იმიტომ, რომ მათი უმეტესობა ცომს კლასიკური მეთოდით ამზადებდა (ასე მოითხოვდა სტანდარტი), სწრაფი ტექნოლოგიებით (ინტენსიური მეთოდებით) დამზადებულმა პურმა (რომლის დამზადება როგორც დროში ისე ენერგოშემცველებშიც კლასიკურის ნახევარი ჯდება), ფასში დაჯაბნა. მოსახლეობაც ფასის გამო სიამოვნებით გადაერთო ახალ ასორტიმენტებზე. ამავე დროს შემოვიდა სხვადასხვა შესაფუთი მასალა. ადამიანებსაც მობეზრდათ ერთი სახეობა და პრიორიტეტი ნაირსახეობას მისცა. პურმაც შესაბამისად გაძვირება დაიწყო. უფრო თამამად გაჩნდა სხვადასხვა წონისა და შეხედულების ასორტიმენტები, თავისი როლი ითამაშა შეფუთვამაც. კლასიკური ტექნოლოგიების მოშლას სრულყოფილ ტექნოლოგიურ პროცესებს ხელი შეუწყო ენერგოშემცველებსა და წყალზე ფასის მატებამ.

ფქვილზე არასტაბილურმა ფასებმა, რაც 2007 წელს გახდა განსაკუთრებით საგრძნობი, მხოლოდ ერთეულ ფირმებს მისცა ხორბლის შემოტანის უფლება. როცა გამოერკვნენ თითქმის ყველა ქართული წისქვილი „აზერბაიჯანული“ გამხდარიყო. იმ პერიოდში ფქვილის ფასები მეზობელ ქვეყნებთან შედარებით ბევრად ძვირი იყო, რამაც საბოლოოდ გააჩერა ბევრი პურის საწარმო, ბევრიც



ვალებში ჩაიხრჩო. არ მახსოვს თუნდაც ერთ ჟურნალისტს ეთქვას, რის ხარჯზე ინარჩუნებენ ხაბაზები ფასს, ისინი ჯამბაზები ხომ არ არიან? მსგავსი 2015 წელსაც განმეორდა (ივნისი, ივლისი, აგვისტო) თუმცა ეს უმსგავსობა დროზე აილაგმა.

მხოლოდ საბაზრო ეკონომიკა და შეჯიბრებითობა უზრუნველყოფს სტაბილურ ფასებსა და ხარისხს. ამავდროულად ხელშეწყობაა საჭირო,როდესაც სამეწარმეო გარემოზეა საუბარი. ბათუმიდან თბილისამდე 1 ტონა ხორბალს 30 დოლარი ემატება. კვლავ მაღალია ჩვენში გადამუშავების ხარჯები, იმის მიუხედავად, რომ აცხადებენ, წელს დიდი მოსავალიაო, სასურსათოდ მხოლოდ 20 %-ს ასახელებენ. არ შემიძლია პასუხგაუცემელი დავტოვო ამ ბოლო პერიოდში პურთან მიმართებაში გამოქვეყნებული წერილები, მაგალითად, დიაბეტურ პურზე. მინდა იცოდეთ, რომ ნამდვილი დიაბეტური პური მხოლოდ კომუნისტურ პერიოდში ცხვებოდა, რადგანაც წამგებიანი ასორტიმენტია (ცომი მთლიანად ირეცხებოდა და სანამ არ გახდებოდა თეთრი სითხე — ანუ ნახშირწყლები). ამ დიდ ხარჯს ბიუჯეტი ფარავდა.დღეს ამას საქარხნო პირობებში არავინ გააკეთებს ან 300 გრამი — 4-5 ლარი უნდა ღირდეს, რასაც არავინ შეიძენს. რაც შეეხება დიეტურ პურს, აქ მეცნიერები და ენდოკრინოლოგები მომხმარებელს ურჩევენ შავი და რუხი ფქვილით დამზადებულ ასორტიმენტებს, რომლებიც ნაკლებ ნახშირწყლებს შეიცავენ. დღეს ბევრს კამათობენ და კითხულობენ შავი და ჭვავის პურის ნამდვილობაზე, რამდენად შეესაბამება ეს პური ასეთ ასორტიმენტს, რადგან ბევრმა რეკლამამ (ჩვენ არ ვღებავთ, შაქარი ნოლი) მომხმარებელში სრულიად ლოგიკური ეჭვი გააჩინა.

დასამალი არ გახლავთ, მართლა, ყოველდღიურობაში სულ უფრო დაიმკვიდრა ადგილი სხვადასხვა სახის დანამატებმა, ინგრედიენტებმა და კოლერებმა. ზოგი ფერმენტული ალაოთი, ზოგიც ჭვავის ასორტიმენტებით, ნაწილი ჭვავით, ნაწილი ხორბლის ფქვილის ნარევით, ზოგიც ამ დანამატებით აწარმოებს. მომხმარებელს კი სურს, იცოდეს რას მიირთმევს. ეს პრობლემაა (ამ ყველაფერს, ისევე როგორც რძის პროდუქტებში ტექნიკური რეგლამენტი მოაწესრიგებს).

სამწუხარო ჭეშმარიტებაა ქართული პურის ინტენსიური, ჩქარი მეთოდებით დამზადება. ადრე ეს პროცესი 10-15 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა. იყენებდნენ დამჟავებულ ცომს, დააყენებდნენ ხაშებს და მეორე დღეს აცხობდნენ. დღეს ეს ბიზნესსახეობად იქცა, საფუარის ამწევის ძალა 9-12 წუთია, მოზელენ ცომს და პურიც 10 წუთში მზადაა, ამიტომაც დაიკარგა სურნელი და გემო, ისევე როგორც ქართულ ღვინოს (ქვევრის), მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი, ქართულ პურშიც უნდა მივბრუნდეთ კლასიკურად დამზადების მეთოდებთან და მხოლოდ მაშინ დავარქვათ მას ქართული პური. თუმცა იმაზე უნდა ვიფიქროთ, რომ ამით ბევრ მეწარმეს გავანაწყენებთ.

მინდა ინფორმაციის სახით ისიც იცოდეთ რომ საქართველოში, განსხვავებით აზერბაიჯანისა და სომხეთისგან, საფუარის ქარხანა აღარ გვაქვს. 1990-იანი წლებიდან მოყოლებული ვერ გაიგეს შესანიშნავი პროფესიონალის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის ვიტალი (ბიჭიკო) კვინიხიძის შეგონებები და ატეხილი განგაში, რომ შეგვინარჩუნებინა ეს საწარმო. დღეს საქართველო მთლიანად შემოტანილ საფუარზეა დამოკიდებული. თემა იმდენად მტკივნეულია, მას ცალკე წერილათ გაგაცნობთ, რადგან ვინ იცის, რა ჭორი და მართალიც არ ვრცელდება საფუართან დაკავშირებით. სხვათა შორის, აზერბაიჯანმა თურქულ-ფრანგული საწარმოს ამოქმედება შეძლო ბაქოში. სასომხეთმა ამერიკული ინვესტიციით საკუთარი საფუარის ქარხანა აამუშავა, არადა, ორივე ქვეყანას ადრე საქართველოდან მიეწოდებოდა საფუარი.

ერთი საჭირბოროტო საკითხიც — ხშირად წერენ, რომ ყოველ მესამე ოჯახს არ აქვს საკმარისი თანხა სრულყოფილი კვებისათვის. საუბარია ხორცსა და რძის პროდუქტებზე. და თითქოს პურში სხვადასხვა დანამატის შეტანით ცდილობენ ამ მდგომარეობის ერთგვარ მოვლას,რაც სრული უაზრობაა და არაეფექტურია, რადგან პური 200-250 გრადუსზე მზადდება და ნებისმიერი დანამატი იმ ბალანსს ვერასდროს შეავსებს (მაგალითად, ამერიკული კვლებები, სადაც ასეთი მეთოდები ინერგებოდა, მივიდნენ დასკვნამდე, რომ ერთმა ადამიანმა ერთ ჭამაზე 1 კილო მაინც უნდა შეჭამოს ასეთი ფორტიფიცირებული პური), რაც ადამიანს ესაჭიროება, ამიტომ ვურჩევდი სხვადასხვა პროგრამის ავტორებს, აფრიკიზაციის მეთოდებს საქართველოში დაანებონ თავი, და თუ მაინცდამაინც აწუხებთ პრობლემები, არსებობს პერორალური მეთოდები (ამით მკურნალობა).

მინდა ერთ საკითხსაც გავუსვა ხაზი. ხშირია საუბარი პურის უვნებლობაზე. მსოფლიოში პური იმიტომ ითვლება პირველადი კვების პროდუქტად, რომ ის სურსათის უვნებლობის თვალსაზრისით რისკჯგუფს არ წარმოადგენს. განვმარტავ, პური ცხვება 200-230 გრადუსზე, რა დროსაც ყველა ბაქტერია და მიკრობი იღუპება. ამიტომ მიირთვით პური, ის ყველაზე ნეიტრალური და სასარგებლო პროდუქტია.

მალხაზ დოლიძე,
ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი;
პურის მრეწველთა კავშირის თავჯდომარე.

◎ ტურისტული პრობლემები

როგორ ცვდებიან „ხავერდოვან სეზონს“ აჭარაში?

ისევ ნაგავში დავინრჩობით, თუ?..

ხავედოვან სეზონს ბათუმი დასუფთავებული სანაპირო ზოლით შეხვდება. აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის თავმჯდომარე მამუკა ბერძენიშვილი „კომერსანტთან“ განმარტავს, რომ დასუფთავების პრობლემა ზაფხულის სეზონის პიკში იდგა, რომელიც მისივე მტკიცებით მოგვარდა. ბერძენიშვილი აცხადებს, რომ ზაფხულის სეზონზე არსებული გამოწვევები ორი მიზეზის გამო იყო. ივნის-აგვისტოს პერიოდში რეგიონს ტურისტები დიდი რაოდენობით ესტუმრნენ და აჭარის დასუფთავების სამსახურის მენეჯმენტი ვერ ახერხებდა გაზრდილი მასშტაბების მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

„შემოდგომის სეზონზე ყველა ტექნიკური პრობლემა აღმოიფხვა. ამიტომ, არა მგონია,აჭარა ამ გამოწვევის წინაშე დადგეს. დღეს არსებული შესაძლებლობები, რომელიც ზოგადად, ამ მიმართლებით რეგიონს აქვს, სრულიად შეესაბამება იმ გამოწვევას და ტურისტების იმ რაოდენობას, რომელიც სექტემბერ-ოქტომბერში ექნება. რომ არა ზაფხულში არსებული გამოწვევები, დასუფთავების სამსახური ვერ განვითარდებოდა“ — აცხადებს ბერძენიშვილი.

აჭარის სანაპიროზე არსებული ანტისანიტარიის პრობლემაზე „კომერსანტი“ პერმანენტულად წერდა. აჭარის ხელისუფლებამ ვერც ერთ წელს ვერ მოახერხა ტურისტულ სეზონს მომზადებული შეხვედროდა და ვიზიტიორები ნაგავს არ შეეწუხებინა.

გასული წლების მსგავსად ტურისტები „კომერსანტთან“ წელსაც აცხადებდნენ, რომ სანაპიროები საყოფაცხოვრებო ნარჩენებით არის დაბინძურებული და იშვიათად სუფთავდება.

„კომერსანტთან“ საუბარში ერთ-ერთი დამსვენებელი, რომელიც წელს გრიგოლეთსა და ქობულეთში იმყოფებოდა, აცხადებდა, რომ მთელი სანაპირო ზოლი ისეთი საყოფაცხოვრებო ნარჩენებით იყო დაბინძურებული, როგორიცაა პლასტიკატის ბოთლები, ხილისა და სიგარეტის ნარჩენები და ა.შ.

„რადგან არ სუფთავდებოდა სანაპირო, გადავწყვიტეთ, გრიგოლეთში თავადვე მოგვეგროვებინა ნაგავი და ერთ ადგილზე თავი მოგვეყარა მისთვის. იმედი გვქონდა, რომ ასეთ შემთხვევაში მაინც გაიტანდნენ ნაგავს, მაგრამ მეორე დღეს ისევ იმავე ადგილზე დაგვხვდა ერთად მოგროვებული ნაგავი. ბოლოს მისი გატანა ისევ ჩვენ მოგვიწია“, — აცხადებს დამსვენებელი.

ამავე პრობლემაზე მიუთითებდა კიდევ ერთი ტურისტი, რომელმაც შვებულება ბათუმში გაატარა. მისი განცხადებით, ტერიტორია განსაკუთრებით დაბინძურებული იყო საღამოს და ყველგან სიგარეტის ნამწვავები ეყარა. ტურისტი წელს ზღვის სიბინძურებმაც შეაწუხა.

დამსვენებლები აცხადებდნენ, რომ ანტისანიტარიის გამო ხშირი იყო ენტეროვირუსებითა და სხვადასხვა ინფექციით ბავშვების დაავადების შემთხვევებიც. თუმცა, ოფიციალური პირები როგორც რეგიონულ, ისე ცენტრალურ დონეზე ამტკიცებდნენ, რომ კურორტებზე არც ანტისანიტარიის და არც ვირუსების პრობლემა არ იდგა.

მიუხედავად პრობლემებისა, რუსულმა „ფორბსმა“ ბათუმი ხავერდოვანი სეზონის მიმართულებების ტოპ-ათეულში დაასახელა. გამოცემამ „ხავერდოვან სეზონზე“ დასვენებისთვის 10 ყველაზე პოპულარული მიმართულება გამოაქვეყნა. „ფორბსმა“ რეიტინგი საძიებო სისტემა RoomGuru.ru-სთან ერთად შეადგინა. დასვენების ბიუჯეტი შედგენილია სექტემბრში დასვენების საშუალო ღირებულების მიხედვით. თანხაში შედის ავიაბილეთების ფასი ორ ადამიანზე და ერთკვირიანი დასვენების ღირებულება 3 და მეტი ვარსკვლავების მქონე სასტუმროში.

აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის თავმჯდომარე მამუკა ბერძენიშვილი განმარტავს, — ეს ნიშნავს, რომ ბათუმი, როგორც ტურისტული მიმართლების სახე კიდევ უფრო იმკვიდრებს ადგილს სამიზნე აუდიტორიის წინაშე. სამიზნე ბაზრებს კი რუსეთი, უკრაინა და ბელორუსია წარმოადგენს.

ბათუმის ჭაჭის კოშკი მეორე სეზონია უფუნქციოდაა დარჩენილი



ბათუმის ჭაჭის კოშკი მიმდინარე სეზონზე ისევ უფუნქციოდ დარჩა. მიმდინარე წლის ივნისში ბათუმის მერიის ტურისტული ობიექტების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელი ალექსანდრე თევზაძე აცხადებდა, რომ ობიექტი სამართავად სავარაუდოდ კომპანია „ზეარისს“ გადაეცემოდა.

ხელშეკრულება კომპანიასთან ვერ გაფორმდა. მიზეზი კი აჭარის მთავრობასა და „ზეარისს“ შორის შეუთანხმებლობა გახდა. როგორც თევზაძე ამბობს, აჭარის მთავრობა კომპანიას კოშკის მიმდებარე ტერიტორიაზე დამატებითი ინფრასტრუქტურის მოწყობას, შესაბამისად, დამატებითი ინვესტიციის განხორციელებას სთხოვდა. „დღეს **ეს საკითხი შეჩერებულია. ბათუმის მერიას წერილიც კი მივწერე, თუმცა, უშედეგოდ. მათგან დადებითი პასუხი არ მიმიღია. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით უახლოეს მომავალში აჭარის მთავრობის ახალ ხელმძღვანელთან ვგეგმავ შეხვედრას. მანამდე კი, საკითხი შეჩერებულია“** — აცხადებს თევზაძე.

მისი თქმით, არ არის გამორიცხული შემუშავდეს ახალი კონცეფცია, რომელიც ობიექტს მომგებიანს გახდის. როგორც თევზაძე განმარტავს, დღეს ჭაჭის კოშკის ფლობა ფინანსურად მომგებიანი არ არის. რაც შეეხება კომპანია „ზეარისს“, მისი ობიექტით დაინტერესება მხოლოდ და მხოლოდ საიმიჯოა. კომპანია „ზეარისი“ ჭაჭის კოშკის ამოქმედებისთვის, სავარაუდოდ, 30 000 ლარის დახარჯვას გეგმავდა.

შეგახსენებთ, კოშკის მშენებლობა ბათუმში, გოგებაშვილის ქუჩაზე 810 055 ლარი დაჯდა. ობიექტი 2012 წლის ოქტომბერში გაიხსნა. ჯერ კიდევ 2014 წელს ჭაჭის კოშკის ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელი ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახურის ხელმძღვანელი ეთერ მაჭუტაძე „კომერსანტთან“ აცხადებდა, რომ კოშკის ფუნქციონირებისთვის ქალაქის ბიუჯეტიდან 35 ათასი ლარი იხარჯებოდა, სამაგიეროდ კი სახელმწიფო არანაირ სარგებელს არ იღებდა.

მაშინ ეთერ მაჭუტაძე „კომერსანტთან“ საუბრისას აღნიშნავდა, რომ დაიწყებოდა მოლაპარაკებები ალკოჰოლური სასმელების მწარმოებელ სხვადასხვა კომპანიასთან, რის შემდეგაც კომპანიები ჭაჭის კოშკზე მათი პროდუქციის განთავსების სანაცვლოდ ფულს გადაიხდიდნენ და ობიექტი შემოსავლის მომტანიც გახდებოდა.

მაშინ ბათუმის მერიის გამწვანების სამსახურში აცხადებდნენ, წლის განმავლობაში ჭაჭის კოშკს 1,5 ტონა ჭაჭა სჭირდება.

2016 წლიდან ჭაჭის კოშკის ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელი ახლად შექმნილი ტურისტული ობიექტების მართვის სააგენტოა. ამჟამად ჭაჭის კოშკი არ მუშაობს.

სოფო ქსოვრელი

P.S. **რა დროს „ჭაჭის კოშკი“, გიგანტური საწნახელები და ორკილომეტრიანი ჩურჩხელებია, როგორ ვერ გამოხვედით მიშას იდიოტური ფანტაზიების ტყვეობიდან. ხალხი შიმშილით და უფულობით იტანჯება. რეალურზე იფიქრეთ, რეალურზე!.. ტურისტები ჭაჭის გარეშეც ჩამოდიან და იმათ კომფორტულ მომსახურებაზე იზრუნეთ!**

მულახელების საპროტესტო აქცია „თეთნულდთან“

ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილი ხელისუფლებას მიმართავს, მესტიის რაიონის სოფელ მულახის მოსახლეობას კუთვნილი მიწის ნაკვეთები საკუთრებაში დაურეგისტრირდეს.

ზაზა ხატიაშვილის ინფორმაციით, ამ მოთხოვნით, ადგილობრივებმა სამთო-სათხილამურო კურორტ „თეთნულდის“ მიმდებარე ტერიტორიაზე საპროტესტო აქცია დაიწყეს და მათ მიწის ნაკვეთებზე, „თეთნულდის“ სამშენებლო სამუშაოები შეაჩერეს.

ზაზა ხატიაშვილის განცხადებით, მულახის მოსახლეობა ხელისუფლებამ არაერთხელ მოატყუა და მათი სამართლიანი მოთხოვნა მიწის რეგისტრაციასთან დაკავშირებით ამ დრომდე არ შეასრულა.

ხელისუფლების პირველი პირების დაპირების და მოსახლეობასთან შეთანხმების საფუძველზე სოფელ მულახის მცხოვრებლებს, 2016 წლის 2 სექტემბრამდე საუკუნეების განმავლობაში, მათ მფლობელობაში არსებული მამა-პაპისეული მიწის ნაკვეთები საკუთერბაში უნდა გადასცემოდათ, რაც დღემდე არ განხორციელებულა.

ქართველი ტურისტები თურქეთში

თურქეთში ჩასული უცხოელი ტურისტების საერთო რაოდენობაში საქართველოს მეორე ადგილი უჭირავს. როგორც თურქეთის კულტურისა და ტურიზმის სამინისტროს მიერ გავრცელებული სტატისტიკური მაჩვენებლებიდან ირკვევა, იანვარ-ივლისში თურქეთს საქართველოდან 1 მლნ 248 ათას 333 ტურისტი ყავდა. სტატისტიკა აჩვენებს, რომ თურქეთში ყველაზე მეტი ტურისტი გერმანიიდან, საქართველოდან, ირანიდან, დიდი ბრიტანეთიდან და ბულგარეთიდან ჩადის.

საფეხმავლო ზონები ძველ თბილისში

ავტოტრანსპორტისთვის ჩაიკეტება და საფეხმავლო გახდება აღმაშენებლის გამზირი №44-დან ზაარბრიუკენის მოედნამდე (ახლადრეაბილიტირებული მონაკვეთი), ერეკლე მეორის, ბოტანიკურისა და ალექსანდრე დიუმას ქუჩები და გორგასლის I შესახვევი.

საფეხმავლო ქუჩების სტატუსი მიენიჭა შარდენის ქუჩას, ბამბის რიგსა და რკინის რიგსაც. ქუჩების შესასვლელებში ავტომატური ჩამკეტები დამონტაჟდება.

მათი მართვის პულტები მოსახლეობას გადაეცემა. საჭიროების შემთხვევაში,

სასწრაფოს, სახანძროსა და პოლიციის მანქანები საფეხმავლო ქუჩებზე შესვლას შეძლებენ. მერიამ ძველი თბილისის ქუჩების საფეხმავლო ზონად გამოცხადების გადაწყვეტილება მოსახლეობის თხოვნითა და ტურისტული ინფრასტრუქტურის სტიმულირებისთვის მიიღო.

ჯეიმს აპატურაი:

საქართველოში ბევრ ახალ და მნიშვნელოვან საკითხს განვიხილავთ

დღეს თბილისში ჩრდილოატლანტიკური საბჭოს სხდომა გაიხსნება. 7-8 სექტემბერს ჩანიშნულ ნატო-საქართველოს კომისიის სხდომას ნატოს გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგი უხელმძღვანელებს.

როგორც საზოგადოებრივ მაუწყებელთან საუბარში კავკასიაში ნატოს გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა ჯეიმს აპატურაიმ განაცხადა, ჩრდილოატლანტიკური საბჭოს სხდომის თბილისში ჩატარება საქართველოსადმი ალიანსის მხარდაჭერის კიდევ ერთი გამოხატულებაა.

„მთელი ჩრდილოატლანტიკური საბჭო, მათ შორის გენერალური მდივანი საქართველოში ვიზიტს დიდი მოლოდინით ელის. პირველ რიგში, ეს არის შანსი, რომ კიდევ ერთხელ გავუსვათ ხაზი იმ ახლო ურთიერთობას, რომელიც ჩვენ გვაკავშირებს და მადლობა გადავუხადოთ საქართველოს მთავრობას იმ შრომისთვის, რაც მან საერთაშორისო ურთიერთობების კუთხით, განსაკუთრებით კი ნატოსთვის გასწია, ასევე საიმისოდ, რომ კიდევ ერთხელ გადავხედოთ არსებითი პაკეტის იმპლემენტაციის პროცესს, რომელშიც აშკარა პროგრესს ვხედავთ. ვიზიტი კარგი შანსია იმისთვის, რომ გამოვხატოთ ჩვენი მოლოდინი მოახლოებული არჩევნების დემოკრატიული სტანდარტებით ჩატარების შესახებაც. ჯამში, ვიზიტის ფარგლებში ბევრ ახალ და მნიშვნელოვან საკითხებს შევეხებით“, — განაცხადა ჯეიმს აპატურაიმ.

ნატოს დელეგაციის ვიზიტის ფარგლებში იენს სტოლტენბერგი, გიორგი კვირიკაშვილთან ერთად, პრეზიდენტს და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს შეხვდება.

მიხეილ ჯანელიძე:

საქართველოს ვიზალიბერალიზაციის პროცესისადმი სრული მხარდაჭერა გვაქვს

ამის შესახებ ჯანელიძემ LIBE-ს კომიტეტის მიერ საქართველოს ვიზალიბერალიზაციის მხარადჭერის საკითხის კომენტირებისას განაცხადა.

„ყველა პოლიტიკურმა პარტიამ საქართველოს ერთხმად დაუჭირა მხარი. იყო თითქმის, სრული მხარადჭერა. იყო 44 მხარდამჭერი და მხოლოდ 5-მა შეიკავა თავი, რაც არის პოლიტიკური მხარდაჭერა ევროკავშირის მხრიდან საქართველოს ვიზალიბერალიზაციის პროცესისადმი. ასევე, ჩვენ გვაქვს მხარდაჭერა წევრი-ქვეყნების შესაბამისი ინსტიტუტებიდან“, — აღნიშნა მინისტრმა.

მისი თქმით, მთავარია, რომ პროცესი შეუფერხებლად მიმდინარეობს. შეგახსენებთ, რომ 5 სექტემბერს საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის მინიჭების საკითხს ევროპარლამენტის მართლმსაჯულებისა და სამოქალაქო საკითხების კომიტეტმა (LIBE) 44 ხმით, 5-ის წინააღმდეგ მხარი დაუჭირა.

ნიკა რურუა:

გასსენით „ღვინის სურები“!

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მთაწმინდის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა ნიკა რურუამ თბილისში დაუსრულებელ მშენებლობებზე ისაუბრა და თბილისის მერიას მათი დასრულებისკენ მოუწოდა.

„რიყის პარკში არის დამთავრებული, მაგრამ გაუხსნელი შენობა, რომელიც დღეს ქვეყნის მდგომარეობას ასახავს. ესაა ძალიან ცნობილი არქიტექტორის, ფუქსასის მიერ აშენებული შენობები, რომელიც ღვინის სურებს, დეკანტერებს წააგავს. ერთ მათგანი უნდა ყოფილიყო საგამოფენო დარბაზი, მეორე — საკონცერტო. მივმართავ ქალაქის მერიას და მთავრობას - გახსნან ეს შენობები, ან თუ ცუდია, დაანგრიონ. მაგრამ საქმეც ის არის, რომ არც ხსნიან და ვერც ანგრევენ“...

↑ ვის დავუჯეროთ?! ↓

ნატო საკუთარ თავს მტრობს, როცა გაწევრიანების იმედს აძლევს ქვეყნებს, რომელთაც ამის შანსი არა აქვთ

გავლენიან ბრიტანულ ჟურნალ Standpoint-ში გამოქვეყნებულ ვრცელ ანალიტიკურ სტატიაში გადმოცემულია ევროპაში ამჟამად შექმნილი სიტუაცია, ურთიერთობა რუსეთსა და დასავლეთს შორის. მასში აღნიშნულია, თუ რა საფრთხეს უქმნის მსოფლიოს აშშ-ის კონფრონტაციული პოლიტიკა და ნატოს გაფართოების პროცესი. საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ სტატიის მოკლე შინაარსს:

ამ ზაფხულს მსოფლიო დემოკრატიის დონე იმდენად გაუარესდა, რომ ძნელად თუ გაიხსენებ მსგავს სიტუაციას. თითქოსდა ყველა იმედოვნებდა, რომ დიდი ბრიტანეთის მიერ მიღებული გადაწყვეტილების — „ბრექსითის“ შემდეგ ნატოს ვარშავის სამიტი დასავლური ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების დადასტურება იქნებოდა, მაგრამ ამის ნაცვლად ალიანსში და საერთოდ, მსოფლიოში არასტაბილურობის სიმპტომები გაჩნდა: სამხედრო გადატრიალების მცდელობა თურქეთში, ჩინეთის ტერიტრიული პრეტენზიები, სამხრეთ ჩინეთის ზღვაში, ზოგიერთი ქვეყნის საბრძოლო რიტორიკა და ა.შ. საერთაშორისო პოლიტიკაში სულ უფრო მძლავრობს იზოლაციონიზმი და ნაციონალიზმი. მსოფლიო გლობალიზაცია და დასავლური ლიბერალური დემოკრატიის გავრცელება, რომელიც რამდენიმე წლის წინათ შეუქცევადი გვეგონა, ბარიერებს აწყდება არა მარტო, ვთქვათ, რუსეთსა და თურქეთში, არამედ, რაც ყველაზე მოულოდნელია, თვით ამერიკის შეერთებულ შტატებშიც. რესპუბლიკელთა პრეზიდენტობის კანდიდატის დონალდ ტრამპის მიერ განხორციელებული თავდასხმები ნატოზე და საერთოდ, ტრანსატლანტიკური უსაფრთხოების პერსპექტივაზე ხელს უშლის ნატოს განმტკიცებას. არადა, ალიანსს ისედაც ბევრი პრობლემები აქვს...

„ბრექსითმა“ აჩვენა, რომ პირველად მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ევროპა ისეთ რთულ მდგომარეობაში ჩავარდა, რომელიც კატასტროფასთან ახლოა, თანაც ამ სიტუაციის მოგვარების საშუალებაც არ ჩანს. საფრანგეთი და გერმანია საერთაშორისო ტერორისტთა თავდასხმების ობიექტი გახდნენ, რაც ამ ქვეყნების პოლიტიკურ ლიდერებს საფრთხეს უქმნის. „ბრექსითის“ გამო გერმანია უნებლიედ, თავისი სურვილის საწინააღმდეგოდ, ევროპული ჰეგემონის როლში აღმოჩნდა. არადა, ნატოს საწყის, თავდაპირველ მიზანს სწორედ ევროპაში გერმანიის ბატონობის აღდგენისათვის ხელის შეშლა წარმოადგენდა.

პრეზიდენტ რეჯეფ ერდოღანის მმართველობის ქვეშ მყოფი თურქეთი ის თურქეთი აღარ არის, რომელსაც ჩვენ ათი წლის წინათ ვიცნობდით და რომლისთვისაც ნატოს წევრობა მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ევროკავშირში გასაწევრიანებლადაც. დღევანდელი თურქეთი ნეოოსმანიზმის ილუზიების ტყვეობაში იმყოფება. რეჯეფ ერდოღანი ანტიამერიკანიზმის ღიად მქადაგებლის როლში გამოდის და პროტესტს აცხადებს, ნატო თურქეთის საშინაო პოლიტიკაში ერევაო. ანკარა თავისი მოქმედებით ნატოს წევრებში ეჭვს იწვევს... შესაძლოა, საქმე იქამდე მივიდეს, რომ თურქეთისათვის პროამერიკულ ორგანიზაციაში (ნატოში) ყოფნა მიუღებელი აღმოჩნდეს. იბადება საგანგაშო კითხვა — ნატოს რამდენი წევრი ან საერთოდ, რომელი ქვეყანა დაეხმარება თურქეთს იმ შემთხვევაში, თუ მას საფრთხე დაემუქრება მეზობლებისაგან, ან თუ თურქული დემოკრატია განადგურების წინაშე დადგება?

ნატოს დღევანდელი ამოცანაა მტკიცედ დაარწმუნოს თავისი ახლადმიღებული წევრები, განსაკუთრებით ბალტიისპირეთის სახელმწიფოები, რომ ალიანსი მათ რუსეთის ჰიბრიდული ომის საფრთხისაგან დაიცავს. ხისიც უნდა ვთქვათ, რომ ნატო საკუთარი თავის მტერიცაა იმ თვალსაზრისით, რომ ნებას აძლევს ისეთ ქვეყნებს, რომლებთაც, მიუხედავად იმისა, რომ მათ ალიანსის წევრობის რეალური შანსი არ აქვთ (მაგალითად, საქართველოს), მაინც მიიღონ მონაწილეობა გაწევრიანების პროცესში. ასეთი მოქმედება მხოლოდ ჩრდილოატლანტიკური ბლოკის დასუსტებას ემსახურება. ისეთი ალიანსის არსებობა კი, რომელშიც ეჭვები და ცრუ წარმოდგენები მატულობს, უფრო საფრთხისშემცველია, ვიდრე მისი არარსებობა.

თავის ჰეგემონობაში დარწმუნებული აშშ სხვა ქვეყნებთან მოლაპარაკებას გადაეჩვია. ვაშინგტონს რუსეთი თავის ტოლ მეტოქედ აღარ მიაჩნდა. დღესაც აშშ (შედარებით ნაკლებად, ევროპა) დარწმუნებულია, რომ რუსეთი სერიოზულ სტრუქტურულ კრიზისში და ეკონომიკის დაცემის პროცესშია შესული. ცივი ომის დასრულების პერიოდიდან აშშ-ში განმტკიცებულია აზრი, რომლის თანახმად, რუსეთს თითქოსდა არა აქვს იმის უნარი, რომ ამერიკის ინტერესებს ხელი შეუშალოს. მაგრამ ვლადიმირ პუტინის კამპანიების შემდეგ საქართველოში, უკრაინასა და სირიაში ასეთი წარმოდგენები თავდაყირა დააყენა. ფაქტიურად, რუსეთი დღეს დასავლეთს იგივე დონით კარნახობს სიტუაციას, როგორითაც დასავლეთი — რუსეთს.

ნატოს ყოველ სამხედრო წრთვნებს რუსეთი დაუყოვნებლივ მსგავსი წრთვნებითა და მანევრებით პასუხობს. ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის (ეფექტური) დიალოგის არქონა მათ შორის კონფლიქტის საფრთხეს ქმნის ისე, როგორც არასდროს“.

ალექსანდრე ვულფსონი,
“Standpoint”

დავით უსუფაშვილი:

საკონსტიტუციო სასამართლო ხელიდან გვეცლება!..

როგორც დავით უსუფაშვილმა აღნიშნა, პარლამენტს დარჩენილი აქვს ხვალ ერთი სხდომა და იმედი გამოთქვა, რომ დეპუტატები ქუთაისში ჩავლენ.

„დარწმუნებული ვარ, რომ პრეზიდენტი დანიშნავს თავის მხრიდან ორ წევრს, უზენაესი სასამართლო დანიშნავს კიდევ ერთ წევრს. პარლამენტმა უნდა გავითავისოთ, რომ ეს არის არა ჩვენი უფლება, არამედ პასუხისმგებლობა და საკონსტიტუციო სასამართლოს მივეხმაროთ, თორემ ეს უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტი თვალსა და ხელს შუა ხელიდან გვეცლება და ეს არის მძიმე და გამოუსწორებელი შედეგების მქონე მომავალში“, — განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

სომხეთს საქართველოს გაზის მიწოდება დროებით შეუწყდება

სომხეთს საქართველოდან გაზის მიწოდება 7-დან 12 სექტემბრამდე შეუწყდება. ამის შესახებ „გაზპრომ არმენია“ იტყობინება. „საქართველოს გაზის სატრანსპორტო კომპანიამ უკვე ჩაგვაყენა საქმისყურში ბუნებრივი აირის მოწოდების დროებით შეჩერების შესახებ, რაც ყაზახ-საგურამოს გაზსადენზე მიმდინარე სარემოტო სამუშაოებით არის განპირობებული,“ — ნათქვამია სომხური მხარის განცხადებაში.

უცნობი გენერალისიმუსი...

სტალინი. პირადი ცხოვრება

იაკობ ჩადაევის მოგონებები

ჩაწერილია
გ. ა. კუმანევის მიერ

მოლაპარაკება ბერლინში

ჰიტლერი ახლა ტკბება თავის წარმატებებით. მისმა ჯარმა ელვისებური სისწრაფით გაანადგურა და აიძულა, კაპიტულაცია გამოეცხადებინა ექვს ევროპულ სახელმწიფოს. ეს ფაქტი შეიძლება განიხილო, როგორც ფაშისტური გერმანიის უდიდესი წარმატება. ევროპაში ხომ ვერ მოიძებნა ისეთი ძალა, რომელიც შეძლებდა ჩაეხშო ჰიტლერული აგრესია. ახლა ჰიტლერმა მიზნად დაისახა, აიძულოს ინგლისი, რათა თავი დამარცხებულად გამოაცხადოს. ამიტომაც გაძლიერდა ბრიტანეთის კუნძულების ბომბარდირება, საჯაროდ მზადდება სადესანტო ოპერაცია, მაგრამ მთავარი ეს არ არის ჰიტლერისთვის, მთავარი მისთვის საბჭოთა კავშირზე თავდასხმაა.

სტალინმა წყნარად, მაგრამ მტკიცედ წარმოთქვა:

— ჩვენ ეს ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რათა თავიდან ავიცილოთ ფაშისტური გერმანიის აგრესია. ქვეყნის ეკონომიკური და სამხედრო ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის ჩვენმა პარტიამ ფართოდ უნდა აუხსნას მშრომელებს, საერთაშორისო ვითარებაში შექმნილ საშიშროებაზე, გამუდმებით უნდა ვამხილოთ ჰიტლერული დამპყრობლები. გავაძლიეროთ მზადება, მოვამზადოთ საბჭოთა ხალხი სოციალისტური სამშობლოს დასაცავად. ახლა, როცა ჩვენი საზღვრები დასავლეთით არის გადაწეული, სახელმწიფო უშიშროების საკითხი გაცილებით მკაცრად დგას. ამიტომაც საჭიროა შეიქმნას საომარ მზადყოფნაში მოყვანილი ჯარის ოპერატიული ჯგუფების დამცავი საფარი იმ საზღვრებთან, მაგრამ... არა უახლოეს ზურგში.


სტალინის სიტყვა სამხედროების კრებაზე

საქმე ისე უნდა წარვმართოთ, რომ რაც შეიძლება მალე იქნას დადებული ხელშეკრულება საბჭოთა კავშირ-იაპონიას შორის ნეიტრალიტეტის შესახებ. მაგრამ გერმანიამ გამოძებნა საერთო ენა თავის დიდმპყრობელურ მისწრაფებებში იაპონიასთან. იაპონიამ აღიარა ყველა ქვეყნის საქმეებში გერმანიის ჩარევის უფლება, რისთვისაც მისი განეიტრალებაა საჭირო. ამავე დროს უნდა გაძლიერდეს სამხედრო-ეკონომიკური დახმარება ჩინელების მიმართ. საქმე ისე უნდა წარვმართოთ, ისე უნდა ვიმოქმედოთ, რაც შეიძლება დავასუსტოთ ჰიტლერული კოალიცია. ჩვენკენ გადმოვიბიროთ ის სატელიტი ქვეყნები, რომლებიც ჰიტლერული გერმანიის გავლენის ქვეშ არიან და არიან მათზე დამოკიდებულები.

დაბოლოს, საჭიროა მაქსიმალური ყურადღების გამოჩენა, ფაშიზმის იმ მოწინააღმდეგეთა მიმართ, რომლებიც ჩვენთან ფაშისტური ქვეყნებიდან მოხვდნენ. ისინი ახლა აქ ასობით არიან და მალე უფრო ბევრნი იქნებიან. მათ შორის უმეტესობა კომუნისტია და მათ შეუძლიათ, უზარმაზარი დახმარება გაგვიწიონ ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ მომავალ ბრძოლაში.

* * *

ბოლოს სტალინი ქვეყნის ბრძოლისუნარიანობის შემდგომი გაძლიერების მიზნებსა და ამოცანებზე შეჩერდა და თქვა:

— ჩვენ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ მომავალ ომში გადამწყვეტი იქნება ტექნიკური უპირატესობის საკითხი. დადგა დრო, როცა ინდუსტრიის, განსაკუთრებით კი თავდაცვის ზოგიერთ დარგში მომუშავეთათვის ინჟინრული ცოდნა იქნება საჭირო. უნდა გავზარდოთ კადრების მომზადება-გადამზადება, რაც ახალი ტექნიკის უფრო ფართოდ დანერგვის საშუალებას მოგვცემს...

სტალინმა ყურადღება მიაქცია რადიოტექნიკის მრეწველობისა და ხარისხიანი მეტალურგიის სწრაფი გარდაქმნის აუცილებლობას, მიუთითა თავდაცვითი ამოცანების უზრუნველყოფის მიზნით წარმოებებს შორის კოოპერაციის შექმნისა და გაფართოების მნიშვნელობაზე.

— ჩვენ განსაკუთრებით ენერგიულად უნდა შევეცადოთ, მივიღოთ განსაკუთრებული ზომები, რათა ძალიან მოკლე დროში ხარისხიანად გავაახლოთ სამხედრო წარმოების მრავალი დარგი (პირველ რიგში საჰაერო და სატანკო), გავშალოთ მუშაობა სამხედრო ტექნიკის შექმნისა და გაფართოებისათვის...

სტალინის შემდეგ სიტყვით გამოვიდა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საგეგმოდან ნ.ა. ვოზნესენსკი, რომელმაც განაცხადა, რომ სახელმწიფო საგეგმო ამჟამად ამუშავებს წინადადებას სამხედრო პროდუქციის წარმოების გაფართოების შესახებ.

— აი, ეს კარგია! მაშინ დააჩქარეთ, დრო აღარ ითმენს, — თქვა სტალინმა.

სტალინის სიტყვა სამხედროების კრებაზე

გ.ა. კუმანევი: თქვენ როგორღაც გაიხსენეთ, რომ ესწრებოდით, კრემლის დიდ სასახლეში 1941 წლის ხუთ მაისს გამართულ სამხედრო აკადემიადამთავრებული მეთაურების გამოშვებასთან დაკავშირებულ საზეიმო კრებას. რა დაგახსომდათ ყველაზე მეტად იმ კრებაზე იოსებ ბესარიონის ძე სტალინის გამოსვლიდან?

ი.ე. ჩადაევი: მე მართლაც მომიწია დასწრება იმ საზეიმო კრებაზე, სადაც ძალიან საინტერესო, ძალიან მნიშვნელოვანი სიტყვით გამოვიდა ი.ბ. სტალინი. ჯერ დაახასიათა ის დიდი ცვლილებები, რაც განიცადა წითელმა არმიამ ამ ბოლო წლების განმავლობაში და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩვენი შეიარაღებული ძალები თანამედროვე ომის გამოცდილების მიხედვით, ძალიან სერიოზულად და ორგანიზებულად გადავიდა ახლებურ შეიარაღებაზე.

გერმანელი და რუსი სამხედროები პოლონეთში ომის დაწყებამდე

— ამხანაგებო! — მიმართა იოსებ ბესარიონის ძემ, — თქვენ სულ რაღაც სამი-ოთხი წლის წინ დატოვეთ არმია. ახლა, როცა ისევ მის რიგებში ბრუნდებით, თქვენ მას ვეღარ იცნობთ. წითელი არმია ახლა ის აღარ არის, რაც ამ ორიოდე წლის წინ იყო. ჩვენ შევქმენით თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ახალი არმია. ჩვენმა ტანკებმა, ავიაციამ, არტილერიამ სრულიად შეცვალა მისი სახე. არმიაში მისვლისას თქვენ ძალიან ბევრ სიახლეს ნახავთ.

მერე არმიის ცალკეულ ფორმებსა და სახეობებში მომხდარ ცვლილებებზე შეჩერდა, ყურადღება მიაქცია ფაშისტური გერმანიის მიერ მეორე მსოფლიო ომის მასშტაბების სულ უფრო გაფართოებას, ჰიტლერის ზრახვებს საბჭოთა კავშირზე თავდასხმის შესახებ და პირდაპირ განაცხადა, რომ ახლა უკვე აღარავის ეპარება ეჭვი, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ფაშისტური გერმანიის აგრესიული მზადებისა და იმ გეგმის შესახებ, რომელიც აშკარად ომისკენ არის მიმართული და რომ ეს ომი ადვილი არ იქნება.

— ჯარის ნაწილებში თქვენ დედაქალაქიდან მიდიხართ, — განაგრძო ბელადმა, — თქვენ ყველას, წითელარმიელებიც და მეთაურებიც გკითხავენ, რატომ მარცხდება ინგლისი, გერმანია კი იმარჯვებს? ნუთუ ის მართლა ასეთი დაუმარცხებელიაო?

ცხადია, მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ გერმანიის არმიის ბრძოლის მიზანი წინ წაწევაა, დაპყრობაა. ვერმახტი შეიარაღდა ახალი ტექნიკით, გაიწაფა ომის წარმოების ახლებურ წესებში, შეიძინა დიდი გამოცდილება და ფაქტია, რომ გერმანიის არმია ახლა ტექნიკითაც ძლიერია და არმიის ორგანიზებულობითაც. მიუხედავად ამისა, გერმანელებს ტყუილად ჰგონიათ, რომ მათი არმია იდეალური და დაუმარცხებელია — დაუმარცხებელი არმია არ არსებობს! საბოლოოდ გერმანია, თავისი ამ დამპყრობლური, მტაცებლური ომის ლოზუნგებით, სახელმწიფოების და ხალხების დამორჩილებით გამარჯვებული ვერ იქნება...

გააანალიზა რა მიზეზები გერმანიის სამხედრო წარმატებებისა, ილაპარაკა არმიასთან იმ დამოკიდებულების შესახებ, როცა მასზე სათანადოდ არ ზრუნავენ, არ იჩენენ მის მიმართ მორალურ მხარდაჭერას. „ასეთ დროს ჩნდება ახალი, არმიის გამხრწნელი მორალი, როცა სამხედროს უგულისყუროდ ექცევიან, იჩენენ მათ მიმართ დაუდევრობას, მაშინ როდესაც არმია ხალხისა და მთავრობის განსაკუთრებულ სიყვარულს, ზრუნვას უნდა გრძნობდეს, ვინაიდან სწორედ ამაშია მისი უდიდესი მორალური ძალა. არმიას უნდა მოეფერო. სამხედრო სასწავლებელი, სამეთაურო კადრების სწავლებისას მხოლოდ ახალ ტექნიკას უნდა მიმართავდეს, ეუფლებოდეს და იყენებდეს თანამედროვე ომის გამოცდილებას“, — აღნიშნა ბელადმა.

მოკლედ მოხაზა ომში არტილერისტების, ავიატორების, ცხენოსნების, კავშირგაბმულობის მუშაკთა მიზნები და ამოცანები, ხაზგასმით აღნიშნა, რომ აუცილებელია, გარდაიქმნას ჩვენი პროპაგანდა, აგიტაცია და პრესა. იმისთვის, რათა ღირსეულად გავუმკლავდეთ აგრესორს, საკმარისი არ არის მხოლოდ ახლებურად აღჭურვილი არმია, საჭიროა მისი აღჭურვა პოლიტიკურადაც. უამისოდ შეუძლებელია ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებაო.

* * *

სტალინის გამოსვლას, რომელიც დაახლოებით ორმოც წუთს გაგრძელდა, სამხედროებით სავსე აუდიტორია დიდი ყურადღებით უსმენდა. საზეიმო სხდომა ყველამ აღელვებულმა და შეფიქრიანებულმა დატოვა. ომი ნამდვილად მოსალოდნელიაო, ამ სიტყვებმა ყველა შეაშფოთა.

საბჭოთა ქვეყნის მეთაურის გამოსვლის მიმართ მოსკოვში გერმანულმა საელჩომ დიდი ინტერესი გამოიჩინა. იმის გამო, რომ კრების ანგარიში „პრავდაში“ შემოკლებულად იყო გამოქვეყნებული, მასზე სრული ინფორმაციის მისაღებად გერმანიის საინფორმაციო ბიუროს კორესპონდენტი — ბატონი შიულე ელჩთან მივიდა, ბატონი შიულეს მიერ საელჩოს ოფიციალური მოხსენების მიხედვით ბერლინში გაგზავნილ შეტყობინებებში ისე იყო ნათქვამი, თითქოს სტალინმა თავის სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირ-გერმანიას შორის თავდაუსხმელობის პაქტის თანახმად, საბჭოთა კავშირი არ ელოდება გერმანიის მხრიდან აგრესიულ მოქმედებასო. ამ სახით მიწოდებული სტალინის სიტყვით, როგორც ჩანს, ბერლინში დიდად კმაყოფილები დარჩნენ, ისე მიიღეს, როგორც ჰიტლერის განზრახვის დასტური სტალინის დეზინფორმირებულობის თაობაზე, მაშინ, როცა სინამდვილეში სტალინმა სრულიად საპირისპირო რამ თქვა. მან მკაცრად გააფრთხილა წითელი არმიის ოფიცრობა და გენერლები იმის თაობაზე, რომ საერთაშორისო ვითარება ძალიან იყო დაძაბული, რომ არ იყო გამორიცხული არაფერი, რომ შესაძლებელი იყო ყოველგვარი მოულოდნელობა და არცთუ გვიან. ითქვა, რომ საბჭოთა კავშირზე მოსალოდნელია თავდასხმა და ამ უახლოეს ომში ჩვენი ქვეყნის მოწინააღმდეგე ჰიტლერული გერმანია იქნება... მაშასადამე, სრულიად გარკვეულად ითქვა, რომ ბრძოლა საბჭოთა კავშირს გერმანიასთან მოუწევდა და ამ ომში დიდი სიფრთხილის გამოჩენა იყო საჭირო. სტალინი ასევე აღნიშნავდა, რომ საჭირო იყო საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების მზადყოფნა და ხალხს და არმიას მოუწოდებდა, მზად ყოფილიყვნენ ამისათვის.

(გაგრძელება იქნება)

დასაწყისი იხ. № 65-140, 142, 143, 146, 150, 152, 156, 157, 162, 164

ფეხბურთი

ვაი მწვრთნელისაგან

ალბათ, ძნელი გასახსენებელია, რომელიმე შესარჩევი რაუნდის სასტარტო შეხვედრის პირველივე ტაიმის შემდეგ გულშემატკივარს ისეთი ობსტრუქციითა და სტვენით გაეცილებინოს გასახდელისკენ საქართველოს საფეხბურთო ნაკრები, როგორც ეს „დინამო არენაზე“ ავსტრიელებთან „მუნდიალ – 2018“-ის საკვალიფიკაციო ტურნირის სადებიუტო მატჩში მოხდა.

ამიტომ გასაოცარი იყო ჩვენი გუნდის თავკაცის ვლადიმერ ვაისის ბრძოლისშემდგომი შეფასება – ბიჭების თამაშის ხარისხმა დამაკმაყოფილაო. დავიჯეროთ, ტრიბუნებიდან განსხვავებულად ჩანდა „ჯვაროსანთა“ ნაკაიკაცარი?!

საქართველო - ავსტრია 1:2

(პირველი ტაიმი 0:2)

გოლები: ანანიძე; ჰინტერეგერი, იანკო.

ისედაც შეზღუდულ არჩევანს მასპინძელთა დამრიგებლის სასელექციო შეცდომები დაერთო, რამაც, საბოლოო ჯამში, მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა კიდეც საბოლოო შედეგი.

დავიწყოთ უკანა ხაზით, სადაც სრული „ბარდაგი“ სუფევდა როგორც ფლანგებზე, ისე ცენტრალურ ზონაში. ამ ფონზეც კი განსაკუთრებულად გვესახება „მემარჯვენე“ ლობჟანიძის უთანასწორო შერკინება არნაუტოვიჩთან. იქნებ, მოვიდა დრო, თავის გამოჩენის შანსი უდავოდ პერსპექტიულ ჭაბუკ კაკაბაძეს მიეცეს.

არანაკლებ საგანგაშო სურათი იხატება ნახევარდაცვაში, სადაც კანკავას არყოფნაში საყრდენად დაუშვილის დაბრუნებით მეტოქეს ამოცანა კი არ გაურთულდა, პირიქით – გაუადვილდა. კი ბატონო, ბუბა პარტნიორთა შორის ენერგიულობით, შესაძლოა, გამორჩეულიც იყო, მაგრამ მარტო სირბილი რომ საქმეს შველოდეს, ჩვენს ბედს კაცი არ დაჰყეფდა.

რაც შეეხება თავდასხმას, საკითხავია, გვყავს კი საერთოდ იგი?!

სხვათა შორის, ასეთი ვაიფეხბურთის მიუხედავად, სახიფათო მომენტებიც შევქმენით სტუმართა კართან და ოდნავ მაინც რომ გაგვმართლებოდა, ქულასაც გამოვკრავდით ხელს (ფეხს), რაც, ვფიქრობ, უფრო მარსელ კოლერის შეგირდთა ბრალი უფრო იქნებოდა, რომლებიც 2:0-ზე მოდუნდნენ და კინაღამ დაისაჯნენ. მთლიანობაში კი იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ უფრო მაღალი კლასის ხარჯზე ავსტრიელებს მომატებაც შეეძლოთ და უპირატესობის გაზრდაც.

არადა, ეს ის გუნდია, რომელმაც შარშან ბრწყინვალედ გაიარა „ევრო – 2016“-ის შესარჩევი ეტაპი და მოსკოვში რუსებიც კი დააშამათა.

სერბეთი – ირლანდია 2:2, უელსი – მოლდოვა 4:0.

გიორგი შოთაძე

ჭადრაკი

უდანაკარგოთა რაოდენობა საგრძნობლად შემცირდა

ვესელინ ტოპალოვი (2768) თანამედროვე ვაჟთა საჭადრაკო ელიტის წარმომადგენელია. ბულგარელი დიდოსტატი ერთადერთია მსოფლიოში, რომელსაც ოთხი მსოფლიოს ჩემპიონი ჰყავს დამარცხებული. 2002 წელს იგი პრეტენდენტთა მატჩის ფინალში გავიდა, ხოლო სამი წლის შემდეგ არგენტინის ქალაქ სან ლუისში მატჩ-ტურნირი მოიგო და ფიდეს ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. 2009 წელს პრეტენდენტთა მატჩში სძლია ამერიკელ გატა კამსკის, მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისთვის პაექრობაში კი ინდოელ ვიშვანათან ანანდთან დამარცხდა – 5.5:6.5 და ვიცეჩემპიონის ტიტულს დასჯერდა.

აი, ასეთი მეტოქე ჰყავდა ბაადურ ჯობავას მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის მე-4 ტურში საქართველო-ბულგარეთის ვაჟთა ნაკრებთა მატჩის პირველ დაფაზე. ამის მიუხედავად, ქართველმა დიდოსტატმა თეთრი ფიგურებით შესანიშნავად ითამაშა და 42-ე სვლაზე ჩვენს გუნდს ამ შეხვედრაში პირველი ქულა მოუტანა. მერე შავი ფიგურებით მიხეილ მჭედლიშვილმა მოუგო მეორე დაფაზე მომჩილ ნიკოლოვს, ლევან ფანცულაია და თორნიკე სანიკიძე კი, შესაბამისად, ვალენტინ ლოტოვსა და კრასიმირ რუსევს დაუზავდნენ. საბოლოოდ საქართველოს ნაკრებმა 3:1 გაიმარჯვა და 7 ქულას მოუყარა თავი. საერთოდ კი ოთხი ტურის შემდეგ ვაჟთა 180 ნაკრებიდან უდანაკარგოთა რაოდენობა ექვს გუნდამდე (ჩინეთი, აზერბაიჯანი (1), ჰოლანდია, ინდოეთი, ბელარუსი, უკრაინა) შემცირდა.

WORLD CHESS OLYMPIAD
BAKU2016

საქართველოს ქალთა ნაკრებმა მე-4 ტურში დაბალი რეიტინგის მქონე ეგვიპტის გუნდს სძლია მშრალი ანგარიშით – 4:0: ნანა ძაგნიძემ იოლად აჯობა ეგვიპტელთა ლიდერ ხალედ მონას, ლელა ჯავახიშვილმა შჩუკ ვაფას მოუგო, ბელა ხოტენაშვილმა ამინა შერიფი დაჯაბნა, ხოლო ნინო ბაციაშვილმა ემან ელანსარი დაამარცხა. ოთხი ტურის შემდეგ ქულათა მაქსიმუმი უკრაინამ, სერბეთმა, რუსეთმა და ყაზახეთმა მოაგროვეს. საქართველო 6 ქულით მისთვის უჩვეულო 21-ე ადგილზეა.

ლაშა დიდია

მოვლენის წინ

მარკო ტოდოროვიჩი: „ვიცით, რომ საქართველოს ნაკრებს ტრიბუნებიდან საოცარი მხარდაჭერა ექნება“

საქართველოს საკალათბურთო ნაკრები 2017 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის ერთ-ერთი გადამწყვეტი მატჩის მოლოდინშია. დღეს ილიას ზურაბის შეგირდები F ჯგუფში უმთავრეს კონკურენტ მონტენეგროს დაუხვდებიან და გამარჯვების შემთხვევაში ფინალური ეტაპისკენ უდიდეს ნაბიჯს გადადგამენ. სტუმრები უკვე თბილისში იმყოფებიან და მომავალი ჯახისთვის სპორტის სასახლეში ემზადებიან.

შეგახსენებთ, რომ ბალკანელებმა ქართველთა მსგავსად ევრობასკეტ-2017-ის საკვალიფიკაციო რაუნდის საწყისი 2 ტური დამაჯერებლად განვლეს. ბოგდან ტანიევიჩის შეგირდებმა შინაურ კედლებში სლოვაკეთი 97:65 გაანადგურეს, შემდეგ კი სტუმრად ალბანეთშიც იოლად იმარჯვეს – 113:73. მონტენეგროელებმა გასული ევროპის ჩემპიონატი გამოტოვეს, ახლა კი შეცდომის გამეორება აღარ სურთ.

ცენტრალური თამაშის შესახებ კომენტარი 24 წლის ფორვარდმა **მარკო ტოდოროვიჩმა** (სიმაღლე 210 სმ.) გააკეთა, რომელმაც გასული სესზონი რუსულ „ხიმკიში“ გაატარა, ამიერიდან კი ესპანურ „ბილბაოში“ ითამაშებს.

„შესარჩევი ციკლის სტარტზე 2 დამაჯერებელი გამარჯვება ვიზეიმეთ, ახლა კი ყველაზე რთული შეხვედრის მოლოდინში ვართ. საქართველოს ჩინებული ნაკრები ჰყავს, რომლის დამარცხებაც რთული საქმე იქნება. ცხადია, რომ ჯგუფის გამარჯვებულის ვინაობა ჩვენი და ქართველების დაპირისპირებაში გაირკვევა.

მათ არაერთი ძლიერი მოთამაშე ჰყავთ და ისიც ვიცით, რომ თბილისში საოცარი მხარდაჭერა ექნებათ. სხვა საქმეა, რომ ჩვენ სავსე ტრიბუნების წინაშე თამაშს მიჩვეულნი ვართ და ამ ზეწოლას ახლაც უნდა გავუმკლავდეთ. ერთი ნაღდია, რომ ამ მატჩზე მოსული ქომაგი კარგ თამაშს იხილავს“.

შეგახსენებთ, რომ საქართველოსა და მონტენეგროს საკალათბურთო ნაკრებთა მატჩი დღეს 19 საათზე დაიწყება და თუკი ბილეთების გაყიდვის ტემპს გავითვალისწინებთ, თბილისის სპორტის სასახლეში სრული ანშლაგია მოსალოდნელი.

ვიტალი ჯაფარიძე

წყალბურთი

ალპენი ევროპას ელის

19-წლამდელ წყალბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატში, რომელსაც 11 სექტემბრიდან ჰოლანდიის ქალაქი ალპენი უმასპინძლებს, მედლებისთვის 16 ქვეყნის წარმომადგენლები იბრძოლებენ. ისინი ოთხ ჯგუფში ასე გადანაწილდნენ:

A ჯგუფი: სერბეთი, იტალია, გერმანია, თურქეთი.

B ჯგუფი: ხორვატეთი, რუსეთი, საქართველო, აზერბაიჯანი.

C ჯგუფი: ესპანეთი, ჰოლანდია, რუმინეთი, სლოვაკეთი.

D ჯგუფი: საბერძნეთი, უნგრეთი, მონტენეგრო, მალტა.

ჰოლანდიაში უკვე გაემგზავრა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები (ირაკლი რაზმაძე, ნიკოლოზ ჩხიკვიშვილი, ანდრია ბითაძე, სანდრო ადეიშვილი, რევაზ იმნაიშვილი, ლევან მოსაშვილი, ვაჟა ფურცელაძე, გიორგი მესხი, გიორგი მაგრაქველიძე, თედო შავშიშვილი, გიორგი წულუკიანი, ნიკოლოზ შუშიაშვილი, დავით ცხაკაია, გიორგი ღავთაძე, მწვრთნელები – გელა ტუკვაძე, ოთარ ქოიავა, ირაკლი ბაქრაძე), რომელიც 11 სექტემბერს ხორვატეთის ნაკრებს დაუპირისპირდება, 12 სექტემბერს – აზერბაიჯანელებს, 13-ში კი რუსებს ეთამაშება.

გივი გაგუა

◎ კოლო ეძახე შენ!..

სიყვარულის ღმერთის რისხვა...

კოლო, ალბათ, ადამიანისთვის ცნობილ მწერებს შორის ყველაზე აბეზარია. ის ყველგან გვაწუხებს — ტყეში, ტბაზე, ზღვაზე, აგარაკზე, შინ. კოლოებს ყველგან შეხვდებით ანტარქტიდის გარდა, მათთვის მნიშვნელობა არა აქვს, სად იცხოვრებენ, მთავარია, ახლო-მახლო მტკნარი წყალი იყოს, რომლის გარეშე ისინი ვერ იარსებებენ. ამავე დროს, მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია სისხლის წყაროს არსებობა — ადამიანი იქნება ეს თუ ცხოველი. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ მოსკიტები ჯერ კიდევ იურულ ეპოქაში, 175 მილიონი წლის წინათ წარმოიშვნენ და, თავის დროზე, დინოზავრების სისხლიც ბლომად დალიეს...

ვარაუდობენ, რომ თავიანთი სახელწოდება ამ მწერებმა სანსკრიტული სიტყვა „კამაარი“-დან მიიღეს, რაც სიტყვა-სიტყვით „სიყვარულის ღმერთ კამას მტერს“ ნიშნავს. ესპანურენოვან ქვეყნებში კოლოს „მოსკიტოს“, ანუ „პატარა ბუზს“ უწოდებენ, რაც შემთხვევითი ნამდვილად არ არის, რადგან მათ ბევრი რამ საერთო აქვთ. მაგალითად, კოლოს თვალები, ისევე როგორც ბუზისა ფასეტური ლინზისგან შედგება. ამის გარდა, მას გამჭვირვალე ფრთები აქვს.

ეტიმოლოგებისთვის 20 ათასი სახეობის კოლოა ცნობილი, რომელთა შორის არიან სრულიად უწყინარებიც და სასიკვდილოდ სახიფათოებიც, რადგან ციების გადამტანები არიან. კოლოების ბზუილს მათი ფრთები გამოსცემენ, რომლებიც წამში 500-ჯერ ირხევიან. მამრები დიდ გუნდებად ირევიან და თავიანთი ბზუილით მდედრებს იზიდავენ. როგორც კი გუნდის მახლობლად მდედრი გამოჩნდება, მას მოწიფული მამრი გამოეყოფა და მაშინვე ანაყოფიერებს.

საინტერესოა, რომ სქესობრივი ორგანოების მახლობლად, მამრ კოლოებს საგანგებო მოწყობილობები აქვთ, რომლებითაც განაყოფიერების დროს მდედრი უჭირავთ. განაყოფიერების შემდეგ, მამრი ისევ გუნდში ბრუნდება. მდედრი კი სისხლის საძებრად მიფრინავს, რადგან კვერცხუჯრედთა მოსამწიფებლად ცილაა საჭირო, რომელსაც სისხლი შეიცავს. მათ საოცარი შეგრძნების უნარი აქვთ — პოტენციურ „დონორს“ ისინი სამი კილომეტრის მანძილზე გრძნობენ, ერთ ჯერზე შეუძლიათ საკუთარ წონაზე მეტი სისხლის დალევა და საათში ორ ათეულ მსხვერპლს ესხმიან თავს!

აღსანიშნავია, რომ პატარა სისხლისმსმელები ყველას ერთნაირად როდი „ერჩიან“. არსებობს რამდენიმე ფაქტორი, რომელიც ამა თუ იმ ადამიანს კოლოებისთვის მეტ-ნაკლებად მიმზიდველს ხდის. მსხვერპლის ამორჩევისას, მდედრი ადამიანის მიერ ამოსუნთქულ ნახშირმჟავე გაზზე აკეთებს, რომელსაც ამოვისუნთქავთ, ასევე ნივთიერებათა ცვლის ზოგიერთ სხვა ნაერთზე, მათ შორის ოფლის შემადგენლობაში შემავალ რძის მჟავაზე. ამიტომაცაა, რომ კოლოები უფრო მეტად იმათ კბენენ, ვინც მეტად ოფლიანდება. სპეციალისტები გვირჩევენ, არ ვეცადოთ ოფლის სუნის მუშკის საფუძველზე დამზადებული პარფიუმერიით გაქრობის ცდა, რადგან ის მათთვის, რომ იტყვიან, „თაფლზე უფრო ტკბილია“. თანაც, კოლოები სითბურ გამოსხივებაზე რეაგირებენ, ამიტომაც კანის დაუცველ უბნებს უშეცდომოდ აგნებენ.

ამერიკელმა მკვლევარებმა დაადგინეს, რომ მსხვერპლის არჩევისას კოლოები უპირატესობას... ქერა ქალბატონებს ანიჭებენ, თუმცა კი ასეთი არჩევანის მიზეზი დღემდე გაურკვეველია.

აშშ-ში, ბრაზილიაში, ავსტრალიაში, სხვაგან, კოლოები საშინელი დაავადების — დენგეს ციების გადამტანები არიან, რომლისგან ყოველწლიურად ასობით ადამიანი კვდება. უბედურება ისაა, რომ მწერთა ევოლუცია ისეთი ტემპით მიმდინარეობს, რომ ცნობილი ინტექსიციდები მათ ვეღარ ერევა. მაგრამ, მეცნიერებმა ამ საშინელი სნეულების წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდი შეიმუშავეს... ისევ კოლოების მეშვეობით. შარშან რიო-დე-ჟანეიროში გაუშვეს რამდენიმე ათეული ათასი ბაქტერია ვოლბახიათი ინიფიცირებული მწერი, რომელიც მათ ორგანიზმში ავადმყოფობის განვითარებას თრგუნავს — იგი მის დნკ-ს ცვლის და გამრავლების უნარს უხშობს. თანაც ადამიანისთვის ეს ბაქტერია საშიში არ არის. ავსტრალიელ მეცნიერთა დაკვირვებით, ლაბორატორიიდან გაშვებულმა მწერებმა ათ კვირაში ოდენობით თავიანთი ველური თანამოძმეები დაჩაგრეს. მეცნიერები იმედოვნებენ, რომ დროთა განმავლობაში ყველა მწერი ვოლბახიას მატარებელი გახდება, ამდენად ახალი ინიცირებული კოლოების გაშვების საჭიროება აღარ იქნება.



● აფრიკაში ტბა ვიქტორიას ნაპირებზე მცხოვრები ტომების ერთ-ერთი გამორჩეული ნუგბარია კოლოებისგან გამომცხვარი „მჭადები“;

● არსებობენ კოლოები, რომლებიც ჭიანჭველებისთვის წართმეული ნექტარით იკვებებიან;

● კოლოების აქტივობის მაქსიმუმი დღე-ღამის 06-დან, 9.30 საათამდე პერიოდზე მოდის;

● ზოგიერთი სახეობის მამრები არასდროს არაფერს არ ჭამენ;

● მოსკიტებს უცნაურად გამორჩევით ლურჯი ფერი იზიდავთ;

● კოლოებისთვის ყველაზე მიმზიდველნი არიან:

— ბავშვები — მათ უფრო ნაზი და თხელი კანი აქვთ:

— ოვულაციისა და ორსულობის პერიოდში ქალები: ეს მათ სისხლში ქოლესტერინის დონესთანაა დაკავშირებული, რაც კოლოებისთვის მიმზიდველი ფაქტორია;

— I და II ჯგუფის სისხლის მქონე ადამიანები;

— ჭარბი ტემპერამენტის მქონე ხალხი, რადგან მათ სისხლში მეტი სქესობრივი ჰორმონია (ტესტესტერონი და ესტროგენი);

— ჭარბი წონის მქონე და ათეროსკლეროზით დაავადებული პირები.

მოამზადა
ოთარ ტურაბელიძემ

სანთელი

მეუღლე მანანა თოდაძე, შვილი გიორგი, რძალი მაკა გეგენავა, შვილიშვილი თორნიკე, სიძე რეზო ლორია, დისშვილები ეკა, კახა ლორიები, ცოლისდა ცარო ოჯახით, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნუგზარ (ხუტა) მამალაძე

პანაშვიდი 8, 9 IX 16 სთ. სულხან ცინცაძის (ყოფილი საბურთალოს) ქუჩა 83. გამოსვენება 10 IX 14 სთ-ზე საბურთალოს სასაფლაოს ამაღლების ეკლესიიდან.

მარინა, გია მახარაძეები ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყებიან უახლოესი მეგობრის

ნუგზარ (ხუტა) მამალაძის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

თენგიზ ქავთარაძე, ნოდარ ბოლოთაშვილი, გია ციხისთავი, ზაურ ფხალაძე, თემურ კუჭუხიძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან საყვარელი მეგობრის

ხუტა გრიგორის ძე მამალაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

პროფესორ გივი მინდელის საზოგადოების წევრები რევაზ თევზაძე, დემურ მიქაძე, დათო დათოშვილი, გაიოზ გალდავაძე, ბონდო ქობულია, ივიკო საყვარელიძე, მერაბ მახარაძე, გურამ ახრახაძე, თამაზ ყაჭეიშვილი, როლანდ იოსელიანი, ჯუმბერ გონაშვილი, რევაზ არველაძე, გია მახარაძე, ომარ ცაავა, გია რამიშვილი, ვალერი ვარდოსანიძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ჩვენი ქვეყნის ყოფილი საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე, ორგზის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე, გარდაბნის რაიონის გამგებელი, უკეთილშობილესი პროვნება, ბატონი

ნუგზარ (ხუტა) მამალაძე

და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახსა და ახლობლებს.

ვილენ მარდალეიშვილი და დაგმარა წერეთელი მწუხარებით იუწყებიან შესანიშნავი ქალბატონის

ლამარა ყიფშიძის

გარდაცვალებას და უსამძიმრებენ გარდაცვლილის ოჯახს.

მამუკა ვაშაკიძე ოჯახით უსამძიმრებს უახლოეს მეგობარს მამუკა კიკნაძეს დედის, უკეთილშობილესი ქალბატონის

ლამარა ყიფშიძის

გარდაცვალებას.

გიორგი ფეიქრიშვილს პატიმრობა შეეფარდა

იარაღის უკანონო შეძენა-შენახვასა და ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვაში ბრალდებულ გიორგი ფეიქრიშვილს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა. გადაწყვეტილება მოსამართლემ გუშინ გამოაცხადა. მისი განმარტებით, ფეიქრიშვილის მიერ გაკეთებული განცხადება, რომ ცეცხლსასროლი იარაღი და ნარკოტიკი ჩაუდეს, საქმეში ამ ეტაპზე არსებული მტკიცებულებებით არ დასტურდება.

გიორგი ფეიქრიშვილის სასჯელის მოხდის ვადის ათვლა მისი დაკავების მომენტიდან დაიწყო. სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება 48 საათიან ვადაში, სააპელაციო სასამართლოშია შესაძლებელი.

ამოღებულია დიდი ოდენობით ჰეროინი

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის მარნეულის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვის ბრალდებით, 1983 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ნ.ა. მარნეულში დააკავეს.

სამართალდამცველებმა ბრალდებულის პირადი და საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას 33 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს, რომელიც, ექსპერტიზის დასკვნით, 9,1097 გრამ ჰეროინს შეიცავს.

დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.



წინანდალში „რადისონის“ მშენებლობა გრძელდება და ბაზარზე თავად ალექსანდრე ჭავჭავაძის ისტორიული ღვინო ბრუნდება

თავად ალექსანდრე ჭავჭავაძის დაბადებიდან 230-ე საიუბილეო წლის აღსანიშნავად წინანდლის სახლ-მუზეუმში აღდგენილი მამულის ღვინოების პრეზენტაცია გაიმართა.

თავადმა ალექსანდრე ჭავჭავაძემ თითქმის ორი საუკუნის წინათ დაიწყო საქართველოშო მანამდე უცნობი წესით ღვინის დაყენება. პირველად ქართული ღვინო ბოთლში წინანდალში ჩამოისხა, რითაც საფუძველი ჩაეყარა თანამედროვე ქართულ მეღვინეობას. 200 წლის შემდეგ ისტორიული ვენახები აღდგა და წელს წინანდლის მამულის ღვინოები ქართულ და მსოფლიო ბაზარს უბრუნდება.

პრეზენტაციაზე წარმოდგენილი იქნა თავად ალექსანდრე ჭავჭავაძის წინანდლის მამულის სამი სახეობის ღვინო: „საფერავი – 2014“, „წინანდალი – 2015“ და „ქვევრი – 2015“.

წინანდალში გაფორმდა საპარტნიორო შეთანხმება „სილქ როუდ ჯგუფსა“ და საპარტნიორო ფონდს შორის, რომლის თანახმადაც საპარტნიორო ფონდი წინანდლის „რადისონის“ მშენებლობის დაფინანსებაში იღებს მონაწილეობას.

ნ-ვარსკვლავიანი სასტუმრო „რადისონ წინანდალი“ ალ. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის და ისტორიული ბაღის უკანა ტერიტორიაზე აშენდება. პროექტის ჯამური ღირებულება 30 მლნ აშშ დოლარია, სასტუმროს გახსნა 2018 წელს იგეგმება.

წინანდალში შეთანხმებას საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა დავით საგანელიძემ და წინანდლის მამულების დირექტორმა გიორგი ხარაბაძემ მოაწერეს ხელი.

„სილქ როუდ ჯგუფმა“ გასულ წლებში წარმატებით განახორციელა იგივე ბრენდის სასტუმროების პროექტები თბილისსა და ბათუმში.

სპეციალურად ამ ისტორიული დღისთვის წინანდლის ბაღში გაიმართა კლასიკური მუსიკის კონცერტი მევიოლინე ლიზა ბათიაშვილის, პიანისტ მილანა ჩერნავსკას,ეროვნული სიმფონიური ორკესტრის და ნიკოლოზ რაჭველის შესრულებით.

ასევე, გაიხსნა იტალიის საელჩოს და წინანდლის მუზეუმის მიერ ორგანიზებული იტალიური დიზაინის მუხის კასრების უნიკალური ნაკეთობების გამოფენა.

დუბაის პლაჟებზე ადამიანებს რობოტები გადაარჩენენ

დუბაის პლაჟებზე ადამიანთა უსაფრთხოებაზე მაშველების ნაცვლად რობოტები იზრუნებენ. აღნიშნული ინიციატივით დუბაის მუნიციპალიტეტი გამოდის. რობოტს შეუძლია 35 კმ/სთ სიჩქარე განავითაროს და წყალში ადამიანზე 12-ჯერ უფრო სწრაფად გადაადგილდეს. რობოტის სიმაღლე 125 სმ იქნება, წონა – 11 კგ და მას 130 კგ-მდე ტვირთის აწევა შეეძლება.

რობოტების გამოყენება ყველაზე რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში იგეგმება, მათ შორის შტორმის დროს. ერთ რობოტს ერთდროულად 4-5 ადამიანის გადარჩენა შეუძლია. ისინი ბატარეებზე მუშაობენ, რომლის დამუხტვაც 1 საათში ხდება.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოგულია
293-13-34
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
სულხან-საბას ქ. №3. 293-13-34; 599 797679

◎ ინტერნეტიდან

არგენტინელი მოდელი პროფესიის პრესტიჟს იცავს

ოკეანის გაღმა ნამეტნავად პოპულარული არგენტინელი მოდელი ვიტა კანგონე აცხადებს, რომ ძალიან აღიზიანებს მისი კოლეგა მოდელების ქცევა და ვერ ხვდება ამ უკანასკნელთ, რატომ აბოდებთ ცნობილ სპორტსმენებზე. ვიტას აზრით, ასეთი საქციელი მათ პროფესიას პრესტიჟს ულახავს.

რთული სათქმელია, კონკრეტულად ვისზე და რაზეა ცნობილი არგენტინელი მოდელი განაწყენებული, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ მრავალი მოდელი მართლაც "ნადირობს" ცნობილ სპორტსმენებზე და ამ მხრივ კანგონეს განსაკუთრებულად ახალი რამ ნამდვილად არ უთქვამს.

შხვართთა შორის უშხვართესი ვიტა კანგონე "ფეშენ" მოდელთა კატეგორიაში გადის და თავის საქმეში შეიძლება ითქვას, რომ უმაღლეს მწვერვალებს მიაღწია. ვიტა თავის დროზე ფრანგული სუნამოების ბრენდებისა და სამოდელო სახლების სახე იყო, ამჟამად კი ბრილიანტის სამკაულების მწარმოებელი ერთ-ერთი ფირმის თილისმაა.

როსტომ სირაძე

ნოემბრიდან საქართველოში „საჰაერო ტაქსები“ შემოვა

ნოემბრიდან საქართველოში „საჰაერო ტაქსები“ იფრენს. ამ ეტაპზე კომპანია „აჭარა ჯგუფი“ ფრენებისთვის ლიცენზიას ელოდება, რის შემდეგაც სხვადასხვა მიმართულებით ფრენებს დაიწყებს, – ამის შესახებ „ბიზნეს-კონტაქტს“ კომპანიის გენერალურმა დირექტორმა ვალერი ჩეხერიამ განუცხადა. მისი ინფორმაციით ლიცენზიაზე განაცხადი ცოტა ხნის წინათ გააკეთეს და ფიქრობენ, რომ ფრენებს 15 ნოემბრიდან დაიწყებენ.

კომპანიის მარკეტინგისა და ბიზნესის განვითარების დირექტორი ოთო ბერიშვილი კი „ბიზნესკონტაქტთან“ აცხადებს, რომ მანამდე სამუშაო პროცესი მიმდინარეობს და საფასო პოლიტიკისა და მიმართულებების შესახებ ინფორმაციას მოგვიანებით გაავრცელებენ.

კომპანიას ამერიკიდან უკვე აქვს შეძენილი რვაადგილიანი ე.წ. Beechcraft, კომპანია საფრენ აპარატებს სამომავლოდ მოთხოვნის შესაბამისად დაამატებს.

ოთო ბერიშვილის თქმით, მსგავს მომსახურებაზე მოთხოვნა არსებობს, თუმცა, მიწოდების გარეშე, ის ვერ გაიზრდება, ამიტომ კომპანიაში იმედოვნებენ, რომ მოთხოვნა „საჰაერო ტაქსებზე“ დროთა განმავლობაში მოიმატებს.

საჰაერო ტაქსი პირველ ეტაპზე ყაზბეგის, ბათუმის, სვანეთის და სხვა მიმათულებით იფრენს, იქ, სადაც აეროდრომები არსებობს. მსგავსი ინფრასტრუქტურის განვითარებაზე ჯგუფი სამომავლოდ თავადვე იზრუნებს, თუმცა, ამ ეტაპზე დეტალების გახმაურებისგან „აჭარა ჯგუფი“ თავს იკავებს.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.296; ევრო - 2.562;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.059;
100 რუბლი - 3.538; თურქული ლირა - 0.778;
აზერბაიჯანული მანათი - 1.376;
1000 სომხური დრამი - 4.844.

ამინდი 7 სექტემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +13,	დღე +32
მთიანი რაიონები -	ღამე +7,	დღე +27
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +13,	დღე +29
მთიანი რაიონები -	ღამე +12,	დღე +27
თბილისი:	ღამე +17,	დღე +30

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE